

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ახალი ქართული ენის კათედრა

პ. ხუბუტია

თუზური კილო

ლ ე მ ს ი კ ა



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 1969

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს თუშური დიალექტი, რომელიც მდიდარია ძველი და ახალი ლექსიკური ფორმებითა და ენობრივი მოვლენებით.

ნაშრომში გადმოცემულია თუშური დიალექტის ერთი მხარე—ლექსიკა. იგი განკუთვნილია ფილოლოგებისა და ქართული ენის განვითარების საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ქართული ერთ-ერთი უძველეს ენათაგანია, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი საკუთარი დამწერლობა აქვს. მისი განვითარება მე-5 საუკუნიდან ფაქტია. ამაზე ლაპარაკობს უძველესი სხვადასხვა წარწერები და ისტორიული ძეგლები.

თავისი არსებობის მანძილზე სალიტერატურო ენა საზრდოობდა დიალექტებით, რომლებითაც ქართული ენა მდიდარია. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიის შესასწავლად. ასეთი ისტორიისათვის კი, ცხადია, ფასეულია ძველი ქართული ენის ლექსიკური ფორმები და ენობრივი მოვლენები, რომლებიც ბარის დიალექტებზე უფრო შემონახული გვაქვს მთის დიალექტებში. მათზე ხომ სალიტერატურო ენის გავლენა უფრო ნაკლები სიძლიერისა იყო.

სალიტერატურო ენის გამდიდრება-განვითარებისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე ახალი ლექსიკური ფორმები და ენობრივი მოვლენები, რომელთა თავშესაფარიც მეტ-ნაკლები ოდენობით დიალექტებია. დიალექტების შესწავლა დღეს სასწრაფო და საჭირო საქმედაა მიჩნეული, ენიიდან ქვეყნის კულტურული დონის სწრაფ აღმავლობასთან დაკავშირებით სალიტერატურო ენის გავლენა მათზე მეტად დიდია.

იმ დიალექტთა შორის, რომლებიც მდიდარია ძველი და ახალი ლექსიკური ფორმებითა და ენობრივი მოვლენებით, მნიშვნელოვანი ადგილი თუშურს უჭირავს. ამ დიალექტზე მეტყველებენ მცხოვრებნი მთათუშეთისა, რომელიც მოქცეულია გომეწრისა და პირიქითის ალაზნის აუზში და შედგება ჩაღმის, გომეწრისა და პირიქითის

კუთხეებისაგან. ამ კუთხეების მცხოვრებთა მცირე ნაწილი დღესაც მთაში ცხოვრობს, დიდი ნაწილი კი ბარში გადასახლდა და დამკვიდრდა ახმეტის რაიონის სოფლებში—ზემო და ქვემო ალვანში, აგრეთვე ლალისუჯრში.

ავტორი ითვალისწინებს ამ დიალექტის მხოლოდ ერთ მხარეს – ლექსიკას, რომლის სრული სახით გადმოცემის პრეტენზია მას არა აქვს.

რას იძლევა თუშუჩის ლექსიკა

თუშუჩის ლექსიკა თავისებური და მრავალფეროვანია ნაწარმოებში სიტყვებით, კომპოზიტებით, ტერმინებით, ზმნის ფორმებით, რომელთაგან ბევრს შეუძლია ლიტერატურული ენის გამდიდრება. ის ასახავს მისი წარმომადგენელი ხალხის მეურნეობის მთავარ დარგს—მეცხვარეობას, საზოგადოდ, ყოფაცხოვრებითი ხასიათის საერთო საქმიანობას, მდგომარეობას.

ამ ლექსიკაში, ვიდრე რომელიმე სხვა დიალექტში ქართული ენისა, გაცილებით მეტია დამოწმებული ძველი ქართული ენის ლექსიკის ერთეულები. ეს ლექსიკა ასევე უზვად წარმოგვიდგენს ვეფხისტყაოსნის ლექსიკის ერთეულებს პირვანდელი სახით ან ბგერითი შედგენილობით შეცვლილს, მაგრამ ადრინდელი შინაარსით. იგი საყურადღებოა იმიტაც, რომ მასში დღემდის დაცულია ქართველი ერის მატერიალური კულტურის სხვადასხვა დარგის—ტანსაცმლის, იარაღის, წონა-ზომის და სხვათა სახელწოდებები, ღვთაებათა, დღეთა უძველესი სახელები, რომლებიც დღეს ქართულში გაუჩინარებულია.

თუშუჩის ლექსიკა საერთო ხასიათის ერთეულებით კავშირს ამყარებს როგორც ქართველურ, ისე კავკასიის მეზობელი ხალხების ენებთან და მით გარკვეულ წარმოდგენას ქმნის ქართველური, კერძოდ ქართული ენის გავრცელებულობის შესახებ კავკასიის მთიანეთში.

ტოპონიმიკური სახელების ანალიზი ცხადყოფს, რომ თუშეთის ტერიტორიაზე ქართველებთან ერთად ცხოვრობდა კავკასიის მეზობელი ტომების წარმომადგენელი ხალხი. დღეს ეს ხალხი ან მისი წარმომადგენელი თუშეთის ტერიტორიაზე არ გვხვდება. სხვადასხვა მიზეზის გამო ამ ხალხმა ჩრდილოეთით გადაინაცვლა. ამდენად ლექსიკის ამ დარგს მცირე მნიშვნელობა როდი ენიჭება მეზობელ ხალხთა მიგრაციის შესასწავლად.

ადამიანის საკუთარი სახელები გვეუბნება, რომ ისინი თითქმის ყოველთვის დასაყრდენია გვარებისათვის და რომ მათ მაწარმოებლად სადაურობის -ელ სუფიქსიცაა გამოყენებული.

1. თუშურ კილოს ზეუქლია ლიტერატურული ძართული მნის გამდიდრება

ა) ნაწარმოები სიტყვებით:

აქმაყება—სიბერისა თუ ავადმყოფობის გამო რამეზე (კიბე, აღმართი)
გაჭირვებით ასვლა
აფეშხობა—დაკლული საქონლის, ფრინველის ასო-ასოდ დაქრა (გურ.
აქნა)
აჯოყრება, -ული—თიბვას გადაცილებული, დაბერებული ბალახი.
გარემხრობა—გასვლითი მუშაობა
გასახლვა—სახელოებიანი ტანსაცმლის ჩაცმა
გაუფეროება—ავადმყოფობისა თუ შიშისგან ფერის დაკარგვა
დაცხენება—კვიცის კარგი მოვლით ადრე ცხენად გახდომა
თავგადანაფალი—რაც თავზე გადახდა კაცს
საისრეულო—ადგილი, სადაც ვარჯიშობენ მშვილდ-ისრით სროლაში.
ქალობინდელი—გათხოვებამდე ნაქონი რამე ნივთი
შემგლისფერება—შებინდება...

ბ) კომპოზიციებით:

ავშავი—ძალიან ავი აღამიანი, საქონელი
დარღურბელაფი—ცვალებადი ამინდი
დილაღამიანად—დილით ადრე
დღედშუაფი—დღეგამოშვებით
ზოლო-ზოლო—დაყოვნებით, ნელ-ნელა
ნაცარწვერი—ნაცრის დიდხანს ხარშვის შედეგად მის ზედაპირზე მო-
გდებული სუფთა სითხე, გამოყოფილი საპნად (გურ. ნა-
ცარგარო)
ლაშქაფიანი—ლაშებაქაფებული, მაგ., ცხენი
შხარშხირი—მაღლიდან ქვიშის ცვენის ხმა
ველმჭრობა—ხელის გამართვა, დახმარება
ვმაჭკვათჩაკრეფა—სიკვილი
ჯარანტარი—ჯარა და ტარი (თითისტარი, ჩერია)...

გ) ტერმინებით:

ავაჯა—ყოველგვარი ძველმანი
დელაშო—საყველედ შედეგებული რძე
ზროხობა—ძროხების ჯოგი
პაროვანი—ხარების ჯოგი

თავანჯარი—დარჩეული, უნაკლო, უზადო (მაგ., საქონელი)
ვირგლანი—უხეში, ტლანქი ადამიანი
მეპურწყლღ—საქმლის მომტანი
მიკვირღისა—რომ აქვს ჩასაცვამ-ღასახურავი ან რამე ნივთი და
უკვირს, ცხვირს ზევით იწევს
უკელთური—ხელსაქმის უცოდინარი ქალი

ღ) ზმნის ფორმებით:

დაქცევა—გაფანტვით გაქცევა; დააქცია—გაფანტვით გააქცია.
ეტყუა—ტყუილი ეთქვა
გაადიღებს—დიღას გაუთენებს
გაახვღებს—ღღეს გაუთენებს
გაგაქე—ქება ვითხარი, ქება შეგასხი
თენღი—ღამის გათევა
ირომებღა—თავისთან სიარულის ნებას აძღვეღა
ვანწღიღ—წყალი ვასვი, დავღღღინღ, მაგ., დამღულ საქონღს
მაამბოზ—მათქმღინღებ, მალაპარაკებ
მიერღო—მას ერღო
შეეწია—აღმართში დღეწია
ჩაქცევა—ზევიღან ქვევით სირბიღით ჩღღენა...

2. ძველი ქართული ზნის ლექსიკა

ღაპარაკია იმ საერთო ერთეუღებზე, რომღებიც ძველ ქართულ
ენას საზიარო აქვს თუშურთან:

მღღიღი: „მღღიღითა წყალთა ზღღსათა გარღღწყვისა“¹.

ქანურშიც მღღიღი მუქის გაღღებითაა ნახმარი: „ა მღღიღი თღრა ბაბა
მუღის ქომღეღ“² (ერთი მუქა ფული თავის მამას მისცა).

ასეთივე მნიშვნეღობა აქვს ამ სიტყვას თუშურში: ორათეს ღღეღი,
ერთ მღღიღ მარიღ მომღეღ.

როკვა ცეკვა. „როკვსა და ნესტვსა დღსასრული არარაღ არს“³.
თუშური: რაღვეღერ კარგაღი როკავს ღღს ღღღღღღაღ ქალი.

რღღღი სპიღენღი. „იყავენ თავსა შენსა ზღღღა რღღღ“⁴. თუშური:
მაყვღლო, რაღიღღ კარგაღენ რღღღღის ქღღაბ გაქვის.

¹ ბასიღ ღიღი, ექუსთა ღღღღაღ, 1938, გვ. 81, 23, გიორგი მთაწმინღღის
თარღმანი. ტმქსტი გამოსცა, გამოკვღეღა და ლექსიკონი ღღღღღო მ. კახაძემ.

² ს. ჟღენტი, ქანური ტმქსტები, 1938, გვ. 197.

³ ბასიღ ღიღი, ექუსთა ღღღღაღ, გვ. 8, 24.

⁴ ბასიღ ღიღი, იქვე, გვ. 39.

საჯნველი: „აღვადგოთ საჯნველი“¹. თუშურში იხმარება საჯნველი, რომლის შესახებ გამოცანაც აქვთ: აქ ჩაძურაო-დ აფიქ ამოძურაჲ (საჯნველი).

ყია მკერდი, ბერძნული ჭარბად-თორაქს. „ნაწლევთა ჩუენთა შორის აგებულ არს ფირტუ. ნაწლევთა თხელი და ვრცელი, რომელი იგი განწვეალებითა ყიისხაჲთა შეიწყნარებს ჰაერსა და იყნოსს“².

თუშური:

აჲ, იმალ მთასა გახედე,
მთას ქორებულად ხეიოდა,
მე მონადირე მეგონა,
იმას თურჩ წურული სტკიოდა:
გულს ეშქვა უთრი ისარი,
სისხლი ყიითა ზდიოდა,
სისხლი ყიითა ნადენი
ფეჯის ჩითათა ზდიოდა...

მამა-დედანი მამა და დედა. „ესე ვითარი არიან მამა-დედანი იგი“³.

თუშურში ეს სახელწოდება შებრუნებული იხმარება: დედა-მამანი დედ-მამანი: ობოლ ვარი, დედა-მამანი || დედ-მამანი არ მყავის.

მართლიად მართლა. „მართლიად გეტყუთ თქუენ: არა გიცნი თქუენ“⁴. თუშურში კი გვაქვს მართლიოდ: მართლიოდ შეთემე ჰაგრ ვითხრაჲ?

იზარდებოდა იზრდებოდა: „ხოლო ყრმაჲ იგი მცირე იყო ყამითა, ვითარ ექუსისა წლისაჲ და სახლსა შინა მამისა თუსისა იზარდებოდა“⁵. ასე შეუკუმშავი იხმარება ეს სიტყვა თუშურშიც: იგრ იზარდებოდ ელისოჲ ცხტასთან; ბალღის გაზარდაჲ წინავე იგრ იყუ.

აუგი ნაკლი, სირცხვილი. ...„და დავინახე აუგი საქმეთა ჩემთაჲ“⁶. თუშურში ეს სიტყვა გვხვდება შესიტყვებაში: აუგის დადებაჲ, რაც ნიშნავს შერცხვენას, ძვირის თქმას.

ერქუანი სახენელი იარალი. ...„ვინაჲ ერთ გზის დამდებელი ჳელისა ერქუანსა ზედა...“⁷

თუშურში მას ეწოდება ერქუანაჲ, რომელიც სახენელი იარალი კი არ არის, არამედ ხელნაჲ, სახელურიჲ საჯნველისა.

¹ ბასილ დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გვ. 112, 31.

² იქვე, გვ. 81, 34.

³ იქვე, გვ. 108, 11.

⁴ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია..., მათე 25, 12.

⁵ გორგიშვილი, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ქრესტომათია, ა. შანიძის რედ., 1947, გვ. 26.

⁶ ბალავარიანის ქართული რედაქციები, გვ. 45, 24.

⁷ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, 1955, გვ. 15, 9.

აღწუაგება გაამაყება, გადიდგულება, „ამაღლება“.

„ესე ვითართა ძნელოვანთა აწუევეს, ანუმცა ამით მოაწყინა და შე-
არყია, ანუმცა მეტად აღწუაგა და მერმე ქუეყანად დააკუეთა და
ურვასა მრავალსა შეაყენა“¹.

თუშურშიც იგივე შინაარსი აქვს, მასთან ზანტ ყოყორასაც აღნიშ-
ნავს: ბოსლი კარ აღიროფ გაწუაული იჯდგ.

აღმოვდომა ამოსვლა: „და კულად უბრძანა ბილწთა მათ კიდო-
ბანთა ახუმაჲ და აღმოვდა მუენით სული სულნელებისაჲ“².

ასეა თუშურშიც:

მზე ჩაჭდა, მთჳარე აღმოვდა:
ჯერ არ მიჰამაჲ ჰამი...

აღხუმა-ახუმა აღება, გაღება. „აღიხუნა თუალნი“³.

ბიჭუ, გერმან, ეს კარებ გაცხუენ.

აღვხება აღდგომა. „და ვითარ მოიწია აღვხებისა ორშაბათი
და მოვიდა პიტიახში ბრძოლისა მისგან ჰონთაჲსა, ეშმაკი თხრიდა
გულსა მისსა“⁴.

თუშურში ამ სიტყვას შინაარსი იგივე აქვს, დაწერილობა კი შე-
ცვლილია: ავგხებას უდერაჲ კვერცხებ შევაგროვი.

ამჰუმელი ბებია ჭალი, ბავშვის ამყვანი, მომლოვინებელი. „ერთ-
ბამად იშვა ყრმაჲ და ამჰუმელი იგი განიცდის შობილსა მას წული
ძი არს, ანუ ჭალი“⁵.

თუშურშიც ასეა: ნანელოჲ ჩემ ბაღის ამჰუმელიგ.

ასტამი რკინის ბრტყელი მომცრო ნაჭერი, გამოყენებული გობზე
დაკრული ცომის ასაფხეკად: „და აღილო ასტამი და უხეთქნა მას თავ-
სა და ჩაჰფლა და თუალი ერთი დაუბუსტა“⁶.

თუშურში ასტამის სახელია ასტამაჲ; ეს სახელი შენახულია ერთ-
ერთი სახეობის ცულის სახელწოდებაშიც: ასტამაჲ ცული—პირფართო,
მოგრძო ცული.

ბრალი ცოდვა, დანაშაული. „...და ნუ მოიქსენებ ბრალთა მათ“⁷...

თუშურში შებრალების, შეცოდების მნიშვნელობითაა ნახმარი:
ბრალი ხარ, იქირაულო, ... კაი ბიჭ იყუ, საწყალი...

განწირვა ხელის აღება... მიტოვება. „ხოლო უკუეთუ მოძლუარნი
შენნი და ჩემიცა შენ წარიყვანენ და მოძლუარნი შენნი იყვენ მშუდობასა

¹ ბალავარიანის ქართული რედაქციები, გვ. 68, 9.

² იქვე, გვ. 34, 10.

³ იქვე, გვ. 37, 8.

⁴ იაკობ ცურტაველი, შუშანიკის წამება, ძველი ქართული ლიტერატურის
ქრესტომათია, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, 1545, გვ. 38.

⁵ ბასილ დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გვ. 70, 3.

⁶ იაკობ ცურტაველი, შუშანიკის წამება.

⁷ ბალავარიანის ქართული რედაქციები, 155, 28.

და გასუენებასა შინა და ჩემი განწირულ იქნას ჩემგან და იყოს შიშსა და კდემასა შინა“¹.

თუშურშიც ასეა, ოღონდ ნ-ს ჩავარდნით:

ქვაჯდის გავწირე ივანე,
დაპირილი რაცგვერც მვალიო...

გა(ნ)ყენება გაშორება, გადგინება, გაცილება. „გაუყენებივარ კაცთაგან“².

თუშურში: თორღვანთ ცხუარ გაყენებით ედგ.

დაგდება მიტოვება. „და მერმე მითხარ ლა, რაჟსა სდევნი წმიდათა, რომელთა საწუთროჟ ესე დაგიგდეს და არას გეზიარებიან მას შინა“³.

თუშური: ბევრი ვიარე, დაგვადე საზღვრებ უღერაჟ ქუეყნისა...

დაწინდებული დანიშნული. „მდიდართა ჳ შვილი დაწინდებულ იყო ჩემთჳს და მე არა ვინებე“⁴.

ასეთივე გაგება აქვს მას „ვეფხისტყაოსანშიც“.

თუშურში გვაქვს დაწინდვა; მას ორი გაგება აქვს: 1) ვაჟის მიერ ქალის დანიშვნა; 2) მოგების პერიოდის მოახლოებისას ძროხის მიერ ძუძუს ჩამოშვება; აქედან დაწინდული ძროხა—ძუძუმოკითხული, ე. ი. ძუძუებ შესამჩნევად ჩამოშვებული: დედო, ჩუენ დეკეველაჟი დაწინდულგ.

თავად თვით, თვითონ.

თუშურიც მას იმეორებს: რეტთან ცხურის შემანახავით თავად რეტთან არსაჲ.

ქუე ქვეშ. „არცა აღანთიან სანთელი და ქუე შედგიან იგი ქუმირსა“ (მათე, 5, 15).

თუშური: ქუე იჯედ, ჯამრულიზეთ, ცხენ ნუ აკერებ ნალებსა.

ლალი თამაჟი, ამაჟი. „ლაღ ამპარტავან და შუენიერ ხილვითაჲ“...

თუშური:

ლაღი არავის გეგონოთ—მიზარალდება ცხუარია...

მწუხრი საღამო. „და რაჟემს შემწუხრდა, მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისსა და ინებეს ერთად პურისა ჳამაჲ“⁵.

თუშური: ბიჳიაჟნთ მწუხრ არაჟ მოსწურეს.

¹ ბალავარიანის ქართული რედაქციები, გვ. 116, 25.

² იქვე, გვ. 20, 29.

³ იქვე, გვ. 56, 15.

⁴ იქვე, გვ. 54, 16.

⁵ იქვე, 3, 19.

* იაკობ ცურტაველი, შუშანიკის წამება, ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, შედგენილი სოლ. ყუბანიშვილის მიერ, 1946, გვ. 37.

საგებელი ლოგინი, „წერილი... დაუტევა საგებელსა ზედა თვისსა¹.
თუშურშიც ასეა: ყიყის ბერკაც საგებელ დამრჩალ ყოფილ.

საცნაური გამოსაცნობი, შესაცნობი, შესატყობი. „პრქუა მათ ყრმა-
მან მან: უკუეთუ საცნაურ არიანა კაცთა შორის, რომელთა ეს შეემთ-
ხევის, რომელთა არა?“²

თუშური: საცნაურაყები — გამოცანები.

საბელი თოკი... „არარაჲ ემოსა, გარნა კოტორი ძაძისაჲ, საბლითა
შემოედვა უპითგან“³...

აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსანშიც“ გვაქვს საბელი: „მუნ ერთსა
ბურჯსა გარდეგდოთ წვერი საბლისა გრძელისა“, ოღონდ ის ყულ-
ფიანი უნდა იყოს, თორემ როგორ მოსდებდნენ ბურჯს?

თუშურში საბელი თხის ბალნისაგან დაგრებილი თოკია: ფეკებ შე-
კრულ მქონდ საბლითაჲ. მაგრამ ის ყულფიანიცაა: ეს უკანასკნელი
ქამანდაა, ე. ი. საბელი ქამანდით.

სწორი თანასწორი. „არა სწორ არიან“⁴.

თუშური: ერთგულ ვარ სწორებისანი.

შენდობა პატიება, მიტეება, „შეუნდვენ შეცოდებანი მისნი“⁵.

თუშური: შენდობა დემეტრეს შვილსა, საცა გარიგდეს ჯარია.

ზრახვა ლაპარაკი, საუბარი. „დაუცხრომელად დღე და ღამე იყავნ
ზრახვაჲ შენი“⁶.

თუშური: ყისენ იზრახოდეს...

მოდება წართმევა, გამორთმევა. „ღღეს მისცემს და ხვალე მოუ-
ღებს“⁷.

თუშურში მოტანას ნიშნავს: ქამაჲ ბალღებთანაც მიციღებს...

ქამადი-ქამად საკმელად. „მე ქამადი მაქუს ქამად, რომელი თქუენ
არა იციოთ“⁸.

თუშური: ქამის ქამად ო ქამისქამაზედ რომ დავსხედითაჲ, ზეობამ
დატყერა თოფებიჲ.

პერული ქაფი. „მრავალგზის აღიძრის რაჲ ზღუაჲ ქართაგან და
სიმაღლედ დიდად აღვიდიან ლელვანი მისნი, ვინაჲთგან კიდეთა ხოლო
ზღუს პირისათა შეების, პერულად განილიის და უკუნ იქცის“⁹.

¹ ბალავარიანის ქართული რედაქციები, გვ. 158, 20.

² იქვე, გვ. 23, 19.

³ იქვე, გვ. 85, 20.

⁴ ბალავარიანის ქართული რედაქციები, გვ. 105, 23.

⁵ იქვე, გვ. 155, 31.

⁶ იქვე, გვ. 52, 35.

⁷ იქვე, გვ. 107, 5.

⁸ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, იოვანე 4, 32.

⁹ ბ ა ს ი ლ დ ი დ ი, ექუსთა დღეთაჲ, გვ. 43, 24.

ამ ამონაწერში საინტერესოა მეორე სიტყვა უკუნ, რომელიც აგრეთვე დასტურდება თუშურში.

თუშური:

კოდნი მიღგანან საესენი,
გადმომდინარი პერითა...

ქალ როცა გადმოვ, ერთხენ წინათის შემუყველის, მემრინასრ უკუნ || უკუკ დაბრუნდება-დ ერთ-ჯელს პატანდ ასწევს.

ბაყლი ქუჭყი, ტალახი, ლაფი. „და მოაღებინა ნა[მნ] გვეთა-გან სკორე და მყრალი ძუალები მძორისაჲ და სხუაჲ საძაგელი ბაყ-ლები და კიდობანთა მათ შინა ჩადვა ყოველი“¹.

თუშური: ეგ ბაღლ რად ჯაქთაჲნ ბაყლიან დაგივალის, არ გრცხ-ვენისაჲ?

აღჯდომა ასელა. „და იხილნა ხენი, რომელთა ზედა აღჯდა“².

თუშური: აჯედ მაღლ—უთხრ ზედეგმ კახს.

სკორე ნეხვი. „და კაცი იგი ჯდა ინაჯით სკორესა ზედა, ხოლო დედაკაცი იგი უროკვიდა წინა და შეასხმიდა ქებასა“³.

თუშური: თურნ იყუნეს ერთ ცოლ-ქმარნი, მეტაყი ზარმაცები-დ სკორეს დახვეტაყი თურნ ეზარებოდ. ანდაზა აქვთ: ყცავი სასკორია-ზედ იჯდაო-დ ბოლოს არიდებდაჲ.

ფლასი თხის მატყლისაგან ნაქსოვი უხეში სამოსელი, ძაძა. „არაჲ ემოსა თვნიერ ფლასისა ნაძუელი, რომელი შემოედგა წელთა მისთა“⁴.

თუშურში ორი გაგება აქვს: 1) თხის ბალნისაგან უხეში ნაქსოვია, ფარდავისებური; 2) გარდაცვლილის ტანისამოსის ტახტზე დაგება გარკვეული დროით.

შაქუს (მყავს). „უფალო, კაცი არა შაქუს, რაჯთა, რაჟამს წყალი ესე აღირღუეს, შთა-მცა-მაგდო საბანელსა ამას“⁵.

თუშურშიც მყავს მაგივრად შაქუს და მექნება იხმარება: დედო, ჩუენ ცხუა მასწავლებელ გუჟეკნებ.

გამოასხა გამოიყვანა. „და რაჟამს გამოასხა ერი იგი, შევიდა და უპყრა ჯელი მისი და აღადგინა ქალი იგი“⁶.

თუშური: ზეგმზეგაყებს ცოლ-შვილ ჯუნდ წავასხ მთაშიგ.

გუაღე წადი, იარე. „პრქუა დედაკაცსა მას: სარწმუნობამან შენმან გაცხოვნა შენ. გუაღე ვიდოდე მშუღობით“⁷.

¹ ბალავარიანის ქართული რედაქციები, გვ. 33, 9 (ბ).

² იქვე, გვ. 36. 34.

³ იქვე, გვ. 50, 6.

⁴ იქვე, გვ. 33, 9 (ბ).

⁵ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, იოვანე, 5,7.

⁶ იქვე, მათე, 9,25.

⁷ იქვე, ლუკა 7,50.

ბალავარიანში ამ სიტყვის წოგუაღე ფორმაა მოცემული და ნიშნავს, როგორც პროფ. ი. აბულაძე ამბობს, მოდი, მობრძანდი: „მოგუალე და მივიდოდით ქალაქსა შინა, რაჟთა ვიხილოთ საქმე კაცთაჲ“¹. თუშურში იხმარება გუალ:

გუალ, ციო დარბაზს წაილეთ,
კოდ გუაქუის დასალოცაი...

ღრთა განმავლობაში ამ სიტყვამ განივითარა ფორმები და გვაქვს: აუგუალე: ბიჭუ, რაცს ელოდებ, აუგუალე, აუგუალე! აგრეთვე მრავლობითი რიცხვიც: გუალეთ: გუალეთაჲ, ქალმ უთხრ მეკოპრებთ.

საანჯმნოჲ ეკლესიასთან შემოღობილი ადგილი განკუთვნილი სალოცავად მამაკაცისათვის. ამ სიტყვიდან გამოიყოფა ჯმნ, რომელიც ძველ ქართულში ნიშნავდა უარის თქმას, გაცლას, გაშორებას: „ვითარცა უხმართაგან ვიჯმნეთ მათგან“²; „და იჯმნა მეფისაგან სპარსთაჲსა პიტიახშმან“³.

ეს სიტყვა, გარდა თუშურისა, შენახული გვაქვს გურულში: ვიჯმნი ეშაკისაგან ან ვეჯმნი ეშაკს, ე. ი. ღმრთისადმი სიყვარულით, მისდამი ლოცვა-ვედრებით ეწმაქთან, ავსულთან საერთო არაფერი მაქვსო.

ღმერთისადმი ასეთი ლოცვა-ვედრება წარმოებდა ჯერ ჯვარზე, რომელიც, როგორც ცნობილია, სამლოცველოს მაგივრობას ეწეოდა, ვინაიდან მას, ე. ი. ჯვარს დიდი გასაქანი ჰქონდა. შემდეგში ჯვარმა ადგილი ტაძარს დაუთმო და ახლა უკვე ტაძარში წარმოებდა ლოცვა-ვედრება, ცოდვების მონანიება. ტაძართან ერთად ლოცვა-ვედრების ადგილად ითვლებოდა საანჯმნოც, ე. ი. ტაძართან გამოყოფილი პატარა ნაკვეთი, რომელიც შემოღობილი იყო და სადაც შესვლა მხოლოდ მამაკაცებს შეეძლოთ.

მთაში ასეთ ადგილს საანჯმნო, საფიჯნო, ბეხენე, საჯარონე ეწოდებოდა.

რა თქმა უნდა, თავშეყრა სხვადასხვა ხასიათის, დანიშნულებებისა იყო და თითოეულ მათგანს თავისი სახელი ჰქონდა მთაში, მაგ.: ქორწილი || ტორწილი, ნათლობა, ტირილი, დღეობა, ხატობა, თენდი, დოლი, შიყარაჲ || შიყარაჲ, ტაშ-ტირილა || ტაშ-ტილილა, სალოცავი, თავის დამარხვა, თავბანიება, (საზოგადო, სათემო) ყრილობა, საანჯმნო, საფიჯნო, ბეხენე, საჯარონე და სხვა.

დღეს მთლიანად აღარ არის დაცული სალოცავი ადგილის გამოყენების ძველი წესი, მაგრამ მისი შეღობვა და დედაკაცისათვის შიგ შესვლის აკრძალვა ძალაშია.

¹ ბალავარიანის ქართული რედაქციები, გვ. 56.

² ბასილ დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გვ. 106.

³ იაკობ ცუტაველი, შუშანკის წამება, ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, გვ. 35.

განზოგადების შემდეგ საანჯმნო ჩვეულებრივ თავშეყრასაც ეწოდება ბოლო ხანებში.

იფქლი პურული მცენარე: „ხოლო იფქლი იგი შეკრიბეთ საუნჯესა ჩემსა“¹.

თუშური:

მიუჭარხარ, ხოხოხულო²,
იშორი³ იფქლო წითელი...

ქალი (ქალიშვილი, ძიყხ) ...არა მოკუდა ქალი ესე⁴...

თუშური: ჯერ ბიჭი ითამაშებს, მემრინასწ ქალ გადმოჰყვებ; ეს ქალობინდელიც.

რბევა: „არბევედ გარემო მისსა“⁵—არბენინებდნენ, აჭენებდნენ.

თუშური: გუშ, სამჭევის ჭალაშიც ცხენებ ვარბიეთ.

ჯერკუალი (ცუდი): „ესრეთ ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღის, ხოლო ჯერკუალმან ხემან ნაყოფი ჯერკუალი გამოიღის“⁶.

თუშური—ჯირყვალი: დეცი, ჯერკუალ მტკივის...

დაიწუხნეს: „თულნი მათნი დაიწუხნეს“⁷; ამავე დროს „ვეფხისტყაოსანშიც“ გვხვდება ეს სიტყვა: „დავიწუხენ თვალნი ყოლა ვერ შევადგენ ვითა მზესა“⁸.

თუშურშიც იგივე შინაარსი აქვს: დაიწუხნეს, მოკუტეს: ბიჭუ, რაცგუერეთაჲ თულ იწუხავ.

მამულად მამით; დედულად დედით: „ეგე კეთილად სთქუ, რამეთუ ვარ მე ბუნებით სარკინოზ, შობილვე მას შინა მამულად და დედულად“⁹.

თუშური:

მამულთა კაცი გაგზავნეს,
გზა შორ აქუ მოსავალია,
დედულნიც მალე მოიდნეს—
არ დამანატრეს თავია...

დაყუდება დაწყნარება: ..ყოველნი დაბადებულნი მოიყვანებიან შეერთება (სა), (ვიდრემდის) განთჯებით, ძრვით გინა დაყუდებით“¹⁰.

¹ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, 28, 24(c) მათე, 13, 30.

² სოფელია გომეწარში.

³ ადგილის სახელია.

⁴ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, 9, 24.

⁵ ბალავარიანის ქართული რედაქციები, გვ. 124, 27.

⁶ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, მათე, 7, 17.

⁷ იქვე, გვ. 13, 15. იქვე, გვ. 43, 15.

⁸ რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, აღ. ბარამიძის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის რედ., 1132.

⁹ იოვანე საბანიძე, აბოს წამება, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ენოსტომთია ა. შანიძის რედაქციით, გვ. 16:

¹⁰ ბალავარიანის ქართული რედაქციები, გვ. 150, 21.

თუშურში იგი გაჩერებას, ერთ ადგილზე ამართულ დგომას ნიშნავს.

თუშური: მე ბოსლი კარ ვეყუდი...

გონჯი კეთროვანი; ქეციანი. ნ. სიგონჯე¹.

თუშურში: შეუხედავი, ულამაზო, მახინჯი...

დახკვნა

გარდა იმისა, რომ ძველი ქართული ენის ლექსიკის ბევრი სიტყვა თუშურში პირვანდელი მნიშვნელობითა და დაწერილობით უცვლელადაა შენახული, ზოგმა ბგერითი შედგენილობა შეიცვალა: აწვეებაჲ (აღვსება), ასტამაყი (ასტამი). ეს უკანასკნელი მსაზღვრელადაცაა გამოყენებული: ასტამაყ ცული (პირფართო ცული); ერქუანაყი (ერქუანანი).

ზოგიერთმა სიტყვამ შინაარსი შეიცვალა ან გაიფართოვა: საციქული; დაწინდვა: 1—ქალის დანიშვნა; 2—ძროხის მიერ „ძუძუების მოკითხვა“; საცნაური: 1—გონი, 2—გამოცანა.

ზოგიერთმა სიტყვამ კიდევ შეიცვალა ფორმაც და რიცხვიც: აუგჷალე (გვალე), გჷალეთ....

3. ვეფხისტყაოსნის ლექსიკის ერთეულები თუშურში

ვეფხისტყაოსნის ლექსიკის ერთეულებიდან, რომლებიც შემორჩენილია თუშურში, ზოგი ფორმით და შინაარსით დღესაც მსგავსია, ზოგი ფორმით განსხვავებულია მათგან, ზოგს კიდევ ვეფხისტყაოსნის ლექსიკის ერთეულების შინაარსის გაგებაში ერთგვარი კორექტივის შეტანაც კი შეუძლია. მაგალითად:

ცხრო სიცივისა თუ შიშისაგან გამოწვეული კანკალი, ცახცახი. ვეფხისტყაოსანი: „მეტმან ზარმან გამაშმაგა მომიმატა ცხრო და თრთოლა“².

თუშური: ჩემ ბაბოს ველებს აცხროებდა-დ ო აცხრუებდა-დ ჩარე-ქაშიგ ჩასხმულ არაყ ეღვრებოდ. დაფიწუხენ ნახევრად დავხუჭე, დავპუტე.

ვეფხისტყაოსანი:

„დაეწუხენ თვალნი ყოლა ვერ შევადგენ ვითა მზესა“.

თუშური: ბიჭუ, რაცჭერეთაჲ თჷალ იწუხაგ.

¹ ბალავარიანის ქართული რედაქციები, ლექსიკონი.

² რ უ ს თ ა ვ ე ლ ა, ვეფხისტყაოსანი, აღ. ბარამიძის კ. კეკელიძის, ა. შანიძის, რედ., 585.

გაწირვა დატოვება, დაგდება შენთან მყოფი პირისა
ვეფხისტყაოსანი:

„თუმცა მისი არ გაწირვა ჩემგან მტკიცობს არ სათუბს“.

თუშური: იმათ ცხუარშიგ ორ კაც ორ კაცებ გნწირ ყარაულად:
მოის, გაის, შეის, წაის—მოსვლისას, გასვლისას, შესვლისას, წასვ-
ლისას
ვეფხისტყაოსანი:

„შეის ხასობს, გაის ქუშობს, ენა ასრე მოაყიენებს
მტერი მტერსა ვერას აენებს, რომელ კაცი თავსა იენებს“¹.

თუშური: ასეთივე ფორმები გვაქვს თუშურში, ოღონდ ზოგი
მათგანი, მაგ., მოის დროსაც დაირთავს: ზროხათ გაის აედგები; კახეთ
წაის არაყ უნდ წიგლუ; მოის დროს ერთხენ კიდე დავძლებით.

რბევა ქენება ცხენისა.

ვეფხისტყაოსანი:

„რა გაემართის, არ იცის მას თუ არბევდის ცხენი საღ“².

დაწინდვა 1. დანიშვნა ქალისა; 2. ძროხის მიერ ძუძუების მოკი-
თხვა ხბოს მოგების პერიოდის მოახლოებისას, აქედან დაწინდული—
ძუძუებმოკითხული (ოღნავ ჩამოშვებული)

ვეფხისტყაოსანი:

„ქვე დაუწინდავს საცოლედ როსან ცოტასა ყმისაღა“³.

თუშური: მწუხრინასნ ეთეროღ დწუწინდავ ეფროს;
ნავღელი სეედა, დარდი, ნაღველი

ვეფხისტყაოსანი:

„კვლა იტყვის: მიკვირს ნავღელი კაცისა ქუიანისა,
რა მგმუნვარებდეს, რას არგებს ნაკალი ცრემლთა ბანისა“⁴

თუშური: მაკრატოს მეტაყ აწუხებდ ნავღელწ.

აქათ აქეთ

ვეფხისტყაოსანი:

„ერთმანეთისა მას აქათ, რაცა ორთავე ვიცითა“⁵
„იქით აქათ მოსდგომოდეს, ახლოს უჩნდა ოდენ თავი“⁶.

¹ რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, აღ. ბარამიძის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის რედ., 161.

² რუსთაველი, გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის რედ., გვ. 163.

³ იქვე, გვ. 239.

⁴ იქვე, გვ. 168.

⁵ იქვე, გვ. 84.

⁶ იქვე, გვ. 220.

თუშური: დიქაცებ ბიკებთ უძახეს: აქათ არ მოზღდითაჲ?

ნეტარ ნეტავი

ვეფხისტყაოსანი:

„იტყვის, ნეტარ მიჯნურობა არ დამაჩნდეს და-მცა-ფვარე“¹

თუშური: ნეტარ, ვინ იქნებიან ყიყისენ, ბიკებტუ!

დაშვრომა დალაღვა

ვეფხისტყაოსანი: „მე დავშვრე, ვითა წესიაჲსაურავ გარდახდილისა“²

თუშური: ცოპის ქალ მეტაყ დაშვრა-ღ' შინისაკჳ წავიდ.

ზროხა ძროხა

ვეფხისტყაოსანი:

„მისთა სპათაცა ნუ დახოც ზროხათა, ვითა ვერთაო“³

თუშური: ზროხათ გაის ავდგები.

გვიქვიან ვეტყვით, ვეძახით

ვეფხისტყაოსანი:

„მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა“⁴

თუშური: დამრჩალ წვენს შრათი გვიქვიან.

ტყავკაბა ზედა ტანსაცმელია ბეწვიანი ტყავისაგან შეკერილი. „ჩვეულებრივ პერანგზე ჩასაცემელ კაბას გარდა, ვეფხისტყაოსანში ტყავ-კაბაც არის აღწერილი; ტარიელი რომ როსტევანმა და მისმა ამალამ პირველად ნახეს, სწორედ ამით ყოფილა მოსილი: მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხისტყავისა, ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა-ო“⁵.

თუშურშიც ტყავკაბაა, სხვაგვარად დურაფტყავი ჰქვია: ბეწვიანი ტყავი შეკერილია პალტოსებურად, გრძელია: როცა ძილი გვეძინების, ჩალიან მეტებშივ ჩავწვებითა-ღ ტყავკაბებს დავიხურავთ.

ღარიბი (არაბული ღარიბ “უცხო“) იგივე ქართული ყარიბია, ეს უკანასკნელი კი ნიშნავს უთვისტომოს, ღარიბს, უცხოს, გადახვეწილს, მოხეტიაელს. ჩამოთვლილთათვის დამახასიათებელია ადგილმონაცვლეობა, სიარული. საამისოდ კი ჯოხიცაა საჭირო, იმიტომაცა ხალხურ ლექსში შემონახული ამ გაგებით.

¹ რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის რედ., გვ. 143.

² იქვე, გვ. 113.

³ იქვე, გვ. 111.

⁴ რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, პ. ინგოროყვას რედ.

⁵ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართული ერის ~~ისტორიისათვის~~ კულტურის ისტორიისათვის, გვ. 117.

ვეფხისტყაოსანი:

„წელთა ოქრო შემოირტყა, საღარიბოდ მოეკაზმა.“¹

თუმურძი:... წელთ მოგცემთ ხალარიბო ჯოხს, იგი მაგრ დაიჭირეო...
ხამ ვარგა, საჭირთა

ვეფხისტყაოსანი:

„ბალსა შიგან თამაშობად საღამოსა გაველ ქემსა,
გავიტანე ხათუნები, მათი კმევა ჩემგან ხამხა“².

თუმურძი: არ ჭამ ცხუა ქალ ციქ შობიარესთან წასრულიყტ.
მიუმტკივნა მიუსამძიმრა

ვეფხისტყაოსანი:

„გოთანდილცა მიუმტკივნა, იტყვის დიდსა სიმძიმისა“³

თუმურძი: გენერლებთ შეთეს გარევერ ჰირ მშუმტკივნეს;
უკმოვახვენ მოვიხურე

ვეფხისტყაოსანი:

„უკმოვახვენ სარკმელნი და შევაქცივე პირი გზასა“⁴.

თუმურძი: ანო, ქალაუ, ეგ კარებ მიხტუნენი.

წინწალი || წინწელი ნაპერწკალი

ვეფხისტყაოსანი:

„მისთა ნაკვესთა წინწალი დამეცა ხანგრძლად მწველია“⁵.

თუმურძი:

კესელოს კესი გატეხეს,
დაყარა ნაწინწელიო

გვალე წადი, იარე

ვეფხისტყაოსანი:

„მე სიციცხლე არ მეგონა, შენ მომესწარ ცეცხლთა შრეტად,
რათგან დავრჩი, გვალე, ვნახთ, თუცავე ვარ ჯეროთცა რეტად“.

„გვალე შეგყრი ლომო მზესა, თავი მისკენ არე-მარე“⁶.

¹ რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, აღ. ბარამიძის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის რედაქციით, 170.

² იქვე, 1125.

³ იქვე, 1459.

⁴ იქვე, 1128.

⁵ რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის რედ., გვ. 65.

⁶ რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, აღ. ბარამიძის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის რედ., 900.

თუშური: გეგენაჲ, რაჲს ელოდებ, აუგჳალე, აუგჳალე!
გჳალე-თა-უ, უთხრ ქალმ შეკობრებთ...

ფარღული ასხმულა, ყელსაბამი
ვეფხისტყაოსანი:

„კვლა უძღვნა თვითო ფარღული, გარდასაყრელი ყელისა.
მგრგვლად დათლილისა თვალისა იაგუნდისა მრთელისა“...

თუშური: არა მარტო ყელსადებია ასხმულა, არამედ—საზოგადოდ, მაგ., სხვადასხვა ჩირისა, ფუძისეული ხმოვნის შეცვლით: კარგაყებ ფარღიღებ ჩამოგიკიდებაჲ, ნუგეშაჲ!

ქმნა ზმნიდან მომავალში ვიზამის მაგიერ თუშურში ვიქამ გვაქვს, უწყვეტელში ვიქამდ, იქამდ და მესამე პირში იქმოდ, მომავალში ვუქამ გვაქვს, რომელსაც შეიძლება შეენაცვლოს (ვ)უზ, უზ, წყვეტილში კი (ვ)უზი: ქისტო, რად უზი ღალატი!

გურულში ეს ფორმები ამ მოკვეცილია; მომავალში ვიქ, იქ, იქს გვაქვს, უწყვეტელში ვიქდი, იქდი, იქდა, წყვეტილში ვქენი, ქენი, ქ(ე)-ნა, სამპირიანი ვუქენი, უქენი, უქ(ე)ნა.

ვეფხისტყაოსანში კი შეკუმშულია:

„შენ რაჲა გითქვამს, მაგას ვიქმ, მრჯის რაზომც გინდა ხელობა“¹.

მგრგვლივ || მირგჳლივ ირგვლივ
ვეფხისტყაოსანი:

„მგრგვლივ მინდორსა მოსდგომოდეს ალყად გარე შემოჰკრვიდეს“².

თუშური: კაცებ მგრგვლივ || მირგჳლივ უარიან ჩადლებს.
ფათერაკი ხიფათი

ვეფხისტყაოსანი:

„შენგან დაერჩით ჩვენ ყველანი ფათერაკხა ეზომ ძნელსა“³.

თუშური: ანდაზა: ფათერაჲი ბინდი ფერიაჲ.
ქმრის შერთვა ქალის გათხოვება

¹ რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, აღ. ბარამიძის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის რედ., 1466.

² რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის რედ., გვ. 183, 18.

³ რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის რედ., გვ. 202.

ვეფხისტყაოსანი:

„ფიციტ გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა კმარი,
სრულად მოესწყდეს სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დანანტქმარი“¹...

თუშური:

ქმარსაწ მეაც შევირთვედე,
რომ ვიყოღე ორტოლაფი...²

რიალი აურზაური, ორომტრიალი.

ვეფხისტყაოსანი:

„სამთავე სამგნით მიმართეს თავსა მის უყვეს რიალი,
იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი“³.

თუშური:

ფარსმაში ლეკებ მოიდნეს || მოიდეს
აფხაზი-დ შაცი ხქვიანი,
დაჯოკონ, ნურას გუჟშობენ || გუშობენ
წინ მაგათ უქნავთ რიალი...⁴

მ ს გ ა ვ ს ი შ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ე ბ ი ა

ვეფხისტყაოსანი:

„ესე მესმა, დამტყდეს ცანი, რისხვა ღმრთისა ეცა გორთა“⁵.
„ქვეყანა ჩენი არ ასწყდეს, რისხვით არ დაგვტყდენ ცანია“⁶.

თუშური:

კესელოს ციხე მიტაცეს
ჩამოტეხაჲ ციხაო...⁷

ოთხშაბათს გათენებისას
შენაქოს დასცეს ცანია...⁸

საბელი გრძელი თოკი ყულფიანი

ვეფხისტყაოსანი: „მან ერთსა ბურჯსა გარდვაგდოთ წვერი საბლი-
სა გრძელისა“⁹

¹ რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის რედ., გვ. 30.

² იქვე, გვ. 275.

³ იქვე, 227.

⁴ იქვე, 87.

⁵ იქვე, გვ. 268.

თუშური: თხის ბალნისაგან დაგრებილი თოკი: ფეგებ შეკრულ მქონდ საბლითაჲ. თუ კი ის ყულფიანია მაშინ იქნება საბელი ქამანდით.

ერთმანერთი ერთმანეთი

ვეფხისტყაოსანი:

„მათ მიხვდა ლხინი ყოველი ერთმანერთისა კერტითაღ“¹.

თუშური: ერთმანერთი კარგადაცი ვტკეცეთ.

აუგი ძვირის თქმა, შერცხვენა

ვეფხისტყაოსანი:

„მძულს, რა კაცსა სააუგო საქმე არა არ შესწონდეს“²

თუშური:

„ნადირი მონადირესა მუდამ არ ებედებაო,
ღლეს თუ ვერ მოხკლა, ხელ მოხკლავს, აუგ არ დაედებაო...“

ნიადაგ 1. მუდამ, ყოველთვის; 2. დიახ, რასაკვირველია.

ვეფხისტყაოსანი:

„რად სიცხე გულსა ნიადაგ მწუავს გმირსა სამს ალებისა“³

თუშურიში ორი გაგება აქვს: 1. მუდამ; 2. უეჭველად:

1. ამამე სახლსა ნიადაგ
ზეციით ღვინონმც ზღიანა...
2. ზემზუეგებს კახეთ წახვალ?
—ნიადაგ

ეტლი ბედისწერა

ვეფხისტყაოსანი:

„კვლა იცავის: ვერვინ ვერას იქმს, ოუ ეღლი არ მოსთმინდების“⁴.

თუშური: ბიკებბუ, საეტლო ზუ არ აგვერი.

თურე || თურჩ თურმე

ვეფხისტყაოსანი:

„ბინდის გვარია სოფელი, ესე თურ ამად ბინდების“⁵.
„შემოირბევდა ზღვის პირპირ, მას თურე წულული სტკიოლა“⁶.

¹ ვეფხისტყაოსანი, გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის რედ., გვ. 140.

² იქვე, გვ. 153.

³ იქვე, გვ. 198.

⁴ იქვე, გვ. 213.

⁵ იქვე, გვ. 213.

⁶ იქვე, გვ. 120.

თუშური: იყრნეს თურე დიდოებ მამაი-დ შვილ; სუროშიგ ციცოჲ
თურჩ დაქყეტილაყი ზის.

ხვრეტა შესჰა, დალევა
ვეფხისტყაოსანი:

„ვა, სოფელო უხანო, რად ზი სისხლთა ჩემთა ხვრეტად“¹.
„იქით და აქათ მომისხდეს, მახვრიტეს სახვრეტელია“².

თუშური: მოდ ერთ სახვრეტაყი დავხვრიტოთ;
რეტი ავადმყოფობაა: ტვინის შერყევა ადამიანისა თუ საქონელის
ვეფხისტყაოსანი:

„შეერთა, დიდნი დიხახნა, წამოიჭრა ვითა რეტი“³.

თუშური: რეტიანის (ცხვარი) შემნახავიჲ, თავად რეტიან იქნები-
საჲ.

აზატი თავისუფალი
ვეფხისტყაოსანი:

„ორისაგან ერთი მიყავ: ტყვე მქმენ ანუ მათატი“⁴.

თუშური: ეთერო მეტაყნ აზატადაჲ გაზდილ.

გწადს გსურს
ვეფხისტყაოსანი:

„თვით შვიკერე, რაცა გწადს, ჩვენგან ნულარა გრცხვენინან“⁵.

თუშური: მაგრ თქუეს რომაჲ, რაცა გწადიანათი ხქენითათი, ფულ
არ გაძლევენათი.

„ორხო“

რამაზ მეფის საჭურჭლეთა დათვალეერების შემდეგ ტარიელი
ამბობს:

„საჭურჭლენი გარდაენახენ თავის-თავის კიდის კიდე,
უცხო ფერთა საჭურჭლეთა, დავშერები, თუ მოესთვალვიდე;
ერთგან ენახე საკვირველი ყაბაჩა და ერთი რიდე,
თუმცა ნახე, სახელისა ცოდნასაცა ინატრიდე;
ვერა შევიგენ, რა იყო ანუ ნაქმარი რაულად!
ვისაც ვუჩენი, უკვირდის, ღმრთისაგან თქვის სასწაულად:
არცა ლარულად ჰგდებოდა მას ქსელი, არც ორხაულად
სიმტკიცე ჰგვანდა ნაქედსა, ეთქვი ცეცხლთა შენართაულად“...⁶

¹ ვეფხისტყაოსანი, გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის რედ., გვ. 109.

² იქვე, გვ. 68.

³ იქვე, გვ. 53.

⁴ იქვე, გვ. 50.

⁵ იქვე, გვ. 97.

⁶ იქვე, გვ. 93.

ფატმანიც, რომელიც ვაჭართა უხუცესის ცოლი იყო და, ვინ მოთვლის, რა ხარისხის, ფერისა და ნაქსოვობის ძვირფასი ქსოვილი უნახავს, გაოცებულია რიდიტა და ყაბაჩით და ამბობს:

სხვა გაამბო საკვირველი რიდისა და ყაბაჩისა
ვარ მნახავი ყოვლისავე უცხოსა და ძვირფასისა,
მაგრა მისი არა ვიცი, ქმნილი იყო რაგვარ რისა:
სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაქედისა...¹

მაშასადამე, ყაბაჩა და რიდე ნაქსოვობით, სირბილითა და სიმაგრით საკვირველი, ჯერ უნახავი, არაჩვეულებრივი ნახელავი იყო. მათი ნაქსოვობა იყო არა ლარული ან ორბაული, არამედ მათზე უკეთესი, სასწაულებრივი. ისმება კითხვა: რა არის ლარულად და ორბაულად? ლარულად ნაწარმოები სიტყვაა ლარი-დან წარმომავლობის -ულ სუფიქსით. თვით ლარი კი ძვირფასი ქსოვილია. მის შესახებ ვკითხულობთ: „თუმცა ლარი ზოგადი მნიშვნელობის ტერმინიც იყო და სხვადასხვა ქსოვილებს გულისხმობდა ხოლმე, მაგრამ ძირითადად ლარი გარკვეული თვისების ქსოვილის აღმნიშვნელი იყო. ზღვათა მეფისაგან გარდახდილს ნესტან-ტარიელის ქორწილზე შოთა, მაგ., ამბობს: „მუნ იდგის გორი ლარისა, სტავრისა და ატლასისაო“ (აბულ. 1354,1 კაკ. 1388, 2).

საბასთანაც ლარი ფარჩაა. ამგვარად, ლარი ძვირფასი ქსოვილია. რომელიც „სხვათა შორის თავისი დამუშავებითაც განსხვავდებოდა“². ორბაულადაც ლარულისებურადაა ნაწარმოები ორბოდან. საბასთან მას ეწოდება ორბუა, ორბოვა და საფენთა წყებაში აქვს მოთავსებული. საგულისხმოა, რომ იმ საფენთა წყებაში, რომელშიც ორბუა არის მოთავსებული, ნოხი, ხალიჩა, ფარდაგი და მსგავსნი არ არის ნახსენები, ალბათ, იმის გამო, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ „საქართველოში გავრცელებულ ძვირფას ქსოვილთა შორის ნახლი-ც გვხვდება. შავთელი ამბობს:

სტავრა და ნახლი,
არ ბილწ ხელ-ნახლი
მოსიეს ტანსა
მკვერსა ზეზისა (აბულუმესია TP. IV, 49,3)

ნახლთან დაკავშირებით ორბოდან ნაწარმოები სიტყვა აქვს ფეშანგისაც გამოყენებული: „იამანის მეფის სასახლის დარბაზისა კართა ქრელითა ნახლითა მოარხავეებული იყო“ (პროზ. ზააქ. შაჰნ.

¹ რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის რედ. გვ. 224.

² ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართული ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, გვ. 176.

11, 399)¹, რათა სიმდიდრე დარბაზის ნახლით მორთულობისა კიდევ უფრო გაეზარდა.

ნახლი საბა ორბელიანის განმარტებით „ნაქსოვი ძვირფასი არის“.

დ. ჩუბენაშვილი ვეფხისტყაოსნის, რუსულდანიანის და აბდულმესიას დამოწმებით განმარტავს: ჟარჩა ზარიანო (ლექსიკ.)².

ამგვარად, ამ ქსოვილის (ორხო) სახელწოდება გვხვდება სხვადასხვანაირად: ორხაო, ორხო, ორხოვა, ორხოვო, ორხოუა, ნაწარმოებ სიტყვებში არხავ (მო-არხავ-ებულ-ი) ფეშანგისთან და ორხა (ორხა-ულ-ად) რუსთაველთან. ამ ფორმებიდან ყველაზე სწორი ფორმაა ორხო. ორხაო და ორხო ორი სხვადასხვა მნიშვნელობის სახელი უნდა იყოს. ორხაო ნაქსოვია, მაგ., ნოხი, ფარდაგი..., რომელსაც ორი სხვადასხვა ფერის ხაო (ხოცი) აქვს და გამოიყენება მსაზღვრელად. არ არის გამორიცხული, რომ ორხაო ორივე პირის ხაოიანობის აღმნიშვნელი იყოს. ორხო კინობითი უნდა იყოს ორხოსი. ორხოვან თუ ორხოვი გ ჩამატებული ფორმაა ორხოსი. ორხო საგნის მსაზღვრელი კი არ არის, არამედ თვით საგანია. შედგენილობით ის ნარევი კომპოზიტი უნდა იყოს. შედგება რიცხვითი სახელის ფუძე ორ და ხო-საგან. ეს უკანასკნელი ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად შედის სიტყვაში ქო(რ)ხო, რაც ბაცბურში ცერისა და ნეკის ერთობლივი მოძრაობით მათზე ამოსახვევ საქსოვ ძაფს, ანუ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხელის ძაფს ეწოდება (ქო(რ) ბაცბურში ხელია).

ამგვარად, ორხოს ძვირფას ქსოვილთა შორის პირველთაგანი აღდილი ეკირა და თავისი ნაქსოვობით ის განსხვავებული იყო ნოხის, ხალიჩის, ფარდაგისა და მსგავსთა საფენისაგან. ეს რომ ასე არ იყოს, რუსთაველი გამოიყენებდა ფარდაგსაც და ნოხსაც, ერთიც და მეორეც ხომ ნახმარი აქვს ვეფხისტყაოსანში:

„ასმით ფარდაგსა აზიდნა გარე ვღვგ მოფარდაგულსა“³

„შევე, ღვევე ტახტსა ზედა, ქალი მოღვა ნოხთა პირსა“⁴.

შემდეგდროინდელ ავტორებთანაც, დღევანდლობის ჩათვლით, ეს სხვაობა ფაქტია:

ქსნის ერისთავის ანას XVII საუკუნის დამლევის მზითვის წიგნში ნათქვამია, რომ სხვათა შორის მას მზითვად გაატანეს ერთი ორხოვი და ერთი ხალიჩაო.

¹ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, გვ. 176.

² იქვე, გვ. 177.

³ რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის რედ., გვ. 67.

⁴ იქვე, გვ. 72.

ა. წერეთელთან: ქვეშ ორხოები დაფინეს დაუდებელი ფასისა;
ბ. ლეონიძესთან: არც ხალიჩა, არც ორხოვა, არც საბანი ატლასისა;
კ. გამსახურდიასთან: ორხოვით, ფარდაგებით და ნატებით მორთულ-
დარბაზში შეიყვანეს კათალიკოზი და ტახტზე დასვესო; ხალხურში:
ქვეშ მეგო კარგი ორხუა, ზედ ღერებული მეხურა; თუშურში: შიგა
დგას ოქროს ტახტები, ზედ ორხოები ხეფნია...

ცხადია, ოქროს ტახტებზე შესაფერ საფენს დააგებდნენ და ასე-
თად ორხო იყო მიჩნეული. მაშასადამე, ორხო უნდა იყოს ორფა-
საქსოვი ძაფი, ორწვერა საქსოვი ძაფი, ორტოლად საქსოვი ძაფი,
ალბათ, სხვადასხვა ფერისა და, თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი
ორწვერა ძაფით ქსოვდნენ განსაკუთრებულად და დიდი დახელოვ-
ნებითაც, რაც საზოგადოდ და ამ შემთხვევაშიც შესაფერ ოსტატობას,
ცოდნასა და გემოვნებას მოითხოვდა, მასთან ის რიგ სირთულეს-
თანაც იყო დაკავშირებული, ცხადი გახდება, თუ რატომ ამბობს
მქსოველი ქალი დანაზებით:

ქმარაწ შეაც შეიერთვედე,
რომ ვიცოდე ორტოლაფი...

ე. ი. ამდენხანს მეც გავთხოვდებოდი, რომ ორტოლა ძაფით ქსოვა-
ვიცოდყო.

ისმება კითხვა: რუსთაველმა ნაწარმოებ სიტყვაში ორხაულად რად
ინმარა ორხა და არა ორხო ან ორხოვა, მით უმეტეს, რომ ორხო-ს
პარალელურად არც ორხა (ორხა-ულად—შოთა) და არც არხა (მო-
არხა-ვებული—ფეშანგი) სინამდვილეში არა გვაქვს არც ძველ და არც
ახალ ავტორებთან.

საწარმოებლად ორხა-ს გამოყენების შემთხვევაში გვექნებოდა ორ-
ხული, ვინაიდან ორხა, როგორც საზოგადო სახელი ა-ზე დაბოლოებუ-
ლი, შეიკვეცებოდა. ეს თუ არ მოხდა, იმიტომ, რომ მაშინ ლექსწყო-
ბა დაირღვეოდა და გვექნებოდა: არცა ლარულად ჰგდებოდა მას ქსე-
ლი, არც ორხაულად; რა თქმა უნდა, რუსთაველს შეეძლო სიტყვა
არც ერთი მარცვლით გაეზარდა და მაშინ ლექსთწყობაც არ დაირღ-
ვეოდა: არცა ლარულად ჰგდებოდა მას ქსელი, არცა ორხულად. მაგ-
რამ ამ შემთხვევაში სიტყვა ორხაულად ერთი მარცვლით შემცირდებ-
ოდა, სტრიქონში მარცვალთა ერთნაირ ბგერიანობაზე—ერთმაზე
იმოქმედებდა და სტროფში სამი უკანასკნელი მარცვლის ერთნაირ
ბგერიანობას დაარღვევდა. რუსთაველს ორხოვა რომ გამოეყენებინა,
მაშინ ფუძე იქნებოდა ორხოვ და მისგან ნაწარმოები ორხოვული სა-
ხესხვაობით ორხავეულს მოგვეცემა. ეს თუ არ მოხდა, იმიტომ, რომ
რუსთაველისათვის ამოსავალია ორხო, რასაც თუშურიც ემოწმება,
მისგან ნაწარმოები აქვს ორხოული, სახესხვაობით ორხაული. ამ უკა-
ნასკნელში ო-ს ა-თი შეცვლა გამოწვეულია აუცილებელი საჭიროე-

ბით, სახელდობრ: ის სტრიქონთა სამი უკანასკნელი მარცვლის ერთ-
ნაირ ბგერიაწობას ეხმატკბილება:

რა-უ-ლად;
სას-წა-უ-ლად;
ორ-ხა-უ-ლად;
წენარ-თა-უ-ლად.

„წვერი“ და „სასალუქო“ ვეფხისტყაოსანში

ვეფხისტყაოსანში ყურადღებას იქცევს სიტყვები: წვერი და სასა-
ლუქო. ყურადღებას იქცევს იმიტომ, რომ ამ სახელების მოცემული
შინაარსი თითქოს ეწინააღმდეგება თვით რუსთაველის ნათქვამს, ამ-
დენად ეს უკანასკნელი ჩრდილში რჩება.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის ახსნაში, ცალკეუ-
ლი სიტყვებისა და შესიტყვების შინაარსისა თუ დანიშნულების ნა-
თელყოფა-დადგენაში მონაწილეობის მიღებით დიალექტები კარგ სამ-
სახურს უწევენ ლიტერატურულ ენას. მოცემულ შემთხვევაში, ე. ი. სიტყვების „წვერისა“ და „სასალუქოს“ მოცემული შინაარსის გაგება-
ში თუშურს კორექტივის შეტანა შეუძლია.

ამ უკვდავ ნაწარმოებში სიტყვა „წვერი“ გვხვდება ფორმებით:
წვერი, წვერთა, წვეროსანთა, უწვერული. ამ ფორმებით წვერი და-
კავშირებულია სამ ძმასთან, ავთანდილს რომ შეეყარა ტარიელის ძებ-
ნის დროს, ჭაშნაგირთან, მეფესთან, ჯართან და მონებთან.

ავთანდილის სამ ძმასთან შეყრასთან დაკავშირებით ვეფხისტყაო-
სანში ვკითხულობთ:

(ავთანდილს) „ხელთა ჰქონდა მშვილდისარი, მათე მია მხიარული.
ორთა კაცთა წვეროსანთა ყმა მოჰყავდა უწვერული.
თავსა იყო დაკოდილი, შეეზნიდა სისხლსა გული,
ტიროდეს და იჭირვოდეს, ცოტა ეღდა მას გლახ სული“¹.

ჭაშნაგირთან დაკავშირებით ასეა ნათქვამი:

„გაჰყარე, ბოზო დიაკო და დამდე გასათრეველად,
მაგრა სცნობ ხვალე ბასუხსა მაგა საქმისა მზღვეველად:
ვარ შენთა შვილთა შენითა კბილთა დამჰმეველად,
დავშალო, წვერთა ფე მყავ, ხელიდა ვბროდე მე ველად“.
ესე თქვა და კაცმან წვერთა მოიზიღნა, გავლნა კარნი“².

ქვაბთან დამალული ავთანდილი მალულად უჭკრეტს ტარიელს. ეს
ადგილი ასე იკითხება:

¹ რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, აღ. ბარამიძის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის
რედ., 157.

² იქვე, 1101, 1102.

„ავთანდილ ახლოს კვლა ნაზა სახე მისივე კაცისა,
ულვაშაშლილი, წვერ-გამო „ნუთუ მზეაო,-თქვა, -ცისა? -
ეყნოსა სული ალვისა, ქართაგან მონატაციისა
და ასრე უჩნს მოკლეა ლომისა, მართ ვითა ლომსა ეცისა“¹.

როსტევეან მეფემ გაიგო ავთანდილის გაპარვა და:

„რა მეფემან მოისმინა, დაიხანა მეტის მეტნი;
მთქვამს, იტყვის: „ვა, გაზრდილო, ელარ განახუნ თვალნი რეცნმ!
პირსა ხოკით, წვერსა გლეჯით გააკვირნა მისნი მკერეტი,—
და საღ წაჰხე და საღ დაკარგენ სინათლისა ევე სვეტნი?“²

ავთანდილის გაპარვასთან დაკავშირებით საერთოდ:

„ზარი გაისმა, შემოკრბა ჯარი მრავალი კაცისა,
დარბაზს ხასთაგან ჯარია ხელითა წვერთა ტაციისა,
იგლეჯს და იცუმს ყველი, ხმა ისმის თაესა ტკაცისა.
და თქეს: ბნელი გემართებს დღე-კრულთა, რადგან მზე მოგვიდრკა
ცისა!“³.

შერმადინი მოახსენებს როსტევეან მეფეს:

„მოახსენა: საწოლს ვპოვე ესე მისგან დან:წერი-
დგეს მონანი ნატირენნი, დეგლიჯა თმა და წვერი,
იგი მარტო გაპარულა, ყმა არ ახლავს, არცა ბერი.
და მე თუ მომკლავთ, მემართლებით, სიცოცხლე მჭირს შეუფერი“⁴;

როგორც ვხედავთ, რუსთაველი თავის ვეფხისტყაოსანში, ერთის გარდა, ყველა სხვა შემთხვევაში წვერს ხმარობს, ეს მაშინ, როდესაც მისი გმირები ყველანი ულვაშების მქონენი არიან. საკითხავია: რატომ არის, რომ უწვერო პირებთან დაკავშირებით რუსთაველი წვერს ხმარობს? რატომ არის, რომ ულვაშის გამოყენებას, თუ შეიძლება ასე ითქვას, რუსთაველი გაუბრბის, მაშინ როდესაც არც ერთი მისი გმირი, ქალების გამოკლებით, უულვაშო არ არის? რატომ არის, რომ ერთ პიროვნებასთან დაკავშირებით რუსთაველი წვერს მრავლობითი რიცხვით ხმარობს? ეს საკითხები არ დაისმებოდა, რომ რუსთაველი წვერთან ერთად ულვაშსაც ხმარობდეს, წვერს ყოველთვის მხოლოდობითი ან ყოველთვის მრავლობითი რიცხვით იყენებდეს და არა ზოგჯერ მხოლოდობით, ზოგჯერ კიდევ მრავლობითით. ამ კითხვებზე პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს, სახელდობრ: როგორც ჩანს, რუსთაველის დროს, ყოველ შემთხვევაში მისთვის, სიტყვა ულვაში გაბატონებული არ არის, წვერი კი როგორც ზოგადი სახელი წვერისა და ულვაშის, აგრეთვე კერძოდ ულვაშისა, ფართოდ არის გავრცელებული. ამის გამოა, რომ ზოგჯერ ის მრავლობით რიცხვშია ჩასმული.

¹ რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, აღ. ბარამიძის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის რედ., სტრ. 227.

² იქვე, 821.

³ იქვე, 825.

⁴ იქვე, 828.

საყვარელ ფატმანთან მოალერსე უცხო ყმის ნახვით შეურაცხყოფისაგან უკიდურესობამდის გაავებული ჭაშნაგირი ემუქრება ფატმანს: ხვალ თუ ისეთ საქმე არ გიყო, რომ შენი შვილების ხორცი თვითონვე არ შეგაჭამო, წვერთა ფე მიყავ-ო. აქ რომ დღევანდელი წვერი იგულისხმებოდეს, რუსთაველი მას მრავლობითში არ ჩასვამდა: თუ ჩასვა, უმხოლოდ იმიტომ, რომ ლაპარაკი აქვს უღვაშების შესახებ, მაშასადამე, გააფთრებული ჭაშნაგირი ეუბნება ფატმანს: თუ დანაპირები არ აგისრულო, უღვაშებზე მომაფურთხეო ან „ფუ, შენს უღვაშებს“—მითხარო.

აღსანიშნავია, რომ რუსთაველის ხანის უდიდესი ძეგლი „ვისრამიანიც“ წვერს ხმარობს უღვაშების ნაცვლად: „რამინი პირად მზესა ჰგუანდა. თვალ-წარბ შავი, თმანი მდიდარნი და გრუზნი, შავნი წურენი—მერცხლის ბოლო“¹.

რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია უღვაშებზე, ვინაიდან „შავნი წვერნი“ მერცხლის ბოლოსთანაა შედარებული. მერცხლის ბოლო კი, გარდა იმისა, რომ შავია, გაყოფილიცაა უღვაშებივით. აქ წვერი რომ უღვაშს ნიშნავს, ეს რამინის დახასიათებიდანაც ჩანს: „ვისრამიანში“ კვითხულობთ: „გაზაფხულ წალკოტი თუცა კეკლუცია, რამინის პირი ათასჯერ მას უტურფეს იყო. ყურისა ძირნი წმიდასა ვეცხლსა უგუანდეს... ნიკაპსა ჯერეთ ცოტა ქაფურის ფერობა ჰქონდა“².

ცხადია, რომ წვერიან ადამიანს ნიკაპი არ გამოუჩნდება, ვფიქრობთ, არც ყურის ძირები.

ამასთან ერთად, ცნობილია, რომ დაგირავების, დაქადნებისა თუ ნაკისრი ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად მამაკაცი ოდითგანვე უღვაშს მიმართავდა, მას იშველიებდა ხელის გადასმით, გაწევით და არა წვერს. ამიტომაცაა, რომ ჭაშნაგირმა „ესე თქვა... წვერთა მოიზინა, გავლნა კარნი“, ე. ი. უღვაშებზე ხელის მოკიდებით და მათი გაწევით კარებში გავიდა...

ასეთივე შინაარსის მქონეა თევზის ერთი სახეობა ღლავი II ღლანი, რომელსაც მეტად გრძელი უღვაშები აქვს და ამის გამო მისი სახელია წვერა.

დღევანდელ უღვაშს, საზოგადოდ, წვერსა და უღვაშს რომ წვერი ერქვა, ამას მთის კილოები—თუშური და ხევსურულიც ადასტურებს. იქ უღვაშებს წვერი და მრ. წვერები ცვლის, მიუხედავად იმისა, რომ თუშსა თუ ხევსურს, რა თქმა უნდა, წვერიც აქვს და უღვაშიც, მაგალითად: წინ ძეს კაც რად ჯაქთაჟნ წვერპირიან დავალის (წვერ და უღვაშებ მოშვებული). მეტქვედითაჲ გამოძვრ დიდიდაჲ წვერიან (უღვაშები-

¹ ვისრამიანი, ა. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის რედ., გვ. 9.

² იქვე, გვ. 53.

ნი) რალაცი-დ უთხრ მაქმიეუ. დევისყურამ წვერაკაჯი კაკალ გამწებ წვერებით (ულვაშებით)..

„წელიწდეულის“ გაბუურის ხევისურულ მასალებში, რომელიც პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით გამოქვეყნდა, აგრეთვე ა. შანიძისავე შედგენილ მასზე დართულ ლექსიკონში, წვერი—ულვაშია.

წვერის შინაარსის არასწორად გაგებულმა თარგმანმაც რუსთაველისათვის და საზოგადოდ, ქართული სინამდვილისათვისაც უცხო, მიუღებელი შესიტყვება მოგვცა:

„Так распутница, отвергла ты меня лишивши чести,
Но с зарей узнаешь силу ты моей кровавой мести,
Причину такое горе, что детей сожрешь всех вместе,
Если этого не будет, пусть погибну я без вести,
Так сказав, ушел он в двери потрясая бородой“¹.

არაბუნებრივი იქნებოდა გვეთქვა, რომ დამუქრების შემთხვევაში ქართველი „потрясает бородою“, ე. ი. წვერს შეარხევს; თუ ქაშაგირი იყო „შემოდგა კარსა ყმა ვინმე კეკლუცი, ტან-ნაკეთიანი“, საექვოა, რომ ასეთ კეკლუც ყმას ისეთი გრძელი წვერი ჰქონოდა, რომ დამუქრებისას ხელის იქით-აქეთ გასმით ის შეერხია.

ამრიგად, რუსთაველი წვერს ხმარობს წვერისა და ულვაშის საზოგადო სახელად.

სიტყვა „სასალუქო“ დაკავშირებულია ფატმანთან. ვეფხისტყაოსანში ვკითხულობთ:

„ფატმან ხათუნ თვალად მარჯვე, არ ყმაწვილი, მგრა მზმელი,
ნაკეთად კარგი, შავ-გერემანი, პირმსუქანი, არ პირ-ხმელი,
მუტრითა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის მსმელი,
და და ეღვა სახალუქო დასაბურავ-ჩასაცმელი“².

ივ. ჯავახიშვილი ამბობს, რომ ვაჭართა უხუცესის ცოლს ფატმანს დაედვა სასალუქო დასაბურავ-ჩასაცმელიო და იმოწმებს აბულ. 1008, კაკ. 1031³.

ვანტანგის თარგმანით, როგორც პროფ. ა. შანიძე ამბობს, სალუქი შემკობის მოყვარულის სახელია:

თუ სალუქი „შემკობის მოყვარულის სახელია“, მაშინ სასალუქო იქნება „შემკობის მოყვარულის“ წესამკობელი და აბა, წარმოიდგინეთ, რამდენი რამ არის შესამკობელი?

¹ Руставели, Витязь в тигровой шкуре, перевел с грузинского Шалва Нуцубидзе, редакция С. Городецкого, 1941, გვ. 219.

² რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, აღ. ბარამიძის, კ. კვეციძის და ა. შანიძის რედ., 1077.

³ ი. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, გვ. 80.

რუსთაველი ამბობს, რომ ფატმანს სასალუქო დასაბურავ-ჩასაცმელი ედვაო, მაგრამ არსად არ ჩანს, რა სახის იყო ეს დასაბურავ-ჩასაცმელი.

მოგეხსენებათ, რომ შემკობის მოყვარული ყველა ადამიანია, მითუმეტეს ქალი, და, რა თქმა უნდა, ვეფხისტყაოსნის ქალებიც, მაგრამ რუსთაველს არც ერთის მიმართ არ უხმარია „სასალუქო დასაბურავ-ჩასაცმელი“, ამ სიტყვით მხოლოდ ფატმანის დასაბურავ-ჩასაცმელია დახასიათებული და სავსებით კანონზომიერადაც, ვინაიდან ფატმანი თვალად მარჯვეა, ნაკეთად კარგი, მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის მსმელი, საერთოდ მხიარული, მსუბუქი ქცევისა და დასაბურავ-ჩასაცმელიც მასთან შეფარდებულია. სალუქი, როგორც ვახტანგი ამბობს, შემკობის მოყვარულს კი არ ნიშნავს, არამედ ის ნიშნავს მსუბუქს, ადვილს, იოლს, თხელს... სასალუქო კი ნაწარმოები სიტყვაა და მისთვის განკუთვნილია და რადგან ამ შემთხვევაში ლაპარაკია ფატმანის დასაბურავ-ჩასაცმელზე, ის თხელი, მსუბუქი გამჭვირვალე ქსოვილია. მაშასადამე, რუსთაველი ამბობს: ფატმანს თხელი ქსოვილისაგან შეკერილი დასაბურავ-ჩასაცმელი ეცვაო. ამას ადასტურებს თუშურიც:

თამანდამ || თამადამ ეს ყანწიც მოსცალ სალუქად, ე. ი. თამადამ ეს ყანწიც ადვილად, გაუჭირვებლად, მსუბუქად დაცალაო.

სალუქ თუ ხულუქ ერთი ფუძეა, ერთი შინაარსის მქონე, ოღონდ ერთ შემთხვევაში თუ ყანწის დაცლა თამადის მიერ იყო ადვილი; მსუბუქი, იოლი, მეორე შემთხვევაში დასაბურავ-ჩასაცმელია თხელი, გამჭვირვალე, მსუბუქი. მაშასადამე, ის არსებითი სახელი კი არა, ზედსართავია; იხმარება ზმნისართის სახითაც: სალუქი — სალუქად, როგორც თეთრი — თეთრად...

ამ შემთხვევაშიც რომ მთარგმნელს სწორად გაეთვალისწინებინა სალუქის-სასალუქოს ნამდვილი შინაარსი, მაშინ არ დამახინჯდებოდა რუსთაველის მიერ ფატმანის ერთი კარგი დასახასიათებელი საშუალებათაგანი:

„Хоть Фатма не молодая, но достаточно страстна,
Станем стройная, чернушка, не худа, полна она,
Любит песни, любит пляски вместе с чарою вина
И купчиха щеюшиха по нарядам в ней видна“¹.

რუსთაველს ის კი არ უთქვამს, რომ ვაჭართა უხუცესის ცოლს ფატმანს მორთვა-მოკაზმვა უყვარსო, არამედ მომღერალ, მოცეკვავე, ღვინისმსმელ, კარგ ნაკეთება და პირმსუქან მსუბუქი ყოფაქცევის ფატ-

¹ Руставели, Витязь в тигровой шкуре, перевел с грузинского Шалва Нуцубидзе, редакция С. Городецкого, М., 1911, гл. 213.

მანს შესაფერი თხელი, მსუბუქი ქსოვილისაგან შეკერილი „დასაბურავ-ჩასაცმელი ელვაო“.

ამგვარად, ვეფხისტყაოსანში ფაქტმანთან დაკავშირებით ნახმარო სასალუქო ნაწარმოებია სალუქი || სულუქი-იდან (სპარს. სოლუქი), რომელიც ამ შემთხვევაში ნიშნავს თხელს, მსუბუქს, სასალუქო კი—მისთვის განკუთვნილს.

დასკვნა

ვეფხისტყაოსნის ლექსიკის რიგი სიტყვები ბგერათმედგენილობისა და შინაარსის შეუცვლელად იხმარება თუშურში.

ვეფხისტყაოსნის ზოგი სიტყვა თავისი უჩვეულო ფორმებით შენახულია თუშურში: აქათ (აქეთ), თურე//თურ (თურმე), ნაველი (ნალველი), უკან//უკუკ (უკან), გვიქვიან (ვეტყვიან), სახვრეტელის დახვრეტა და სხვ.

ზოგ სიტყვას ბგერითი მდგენილობა შეცვლილი აქვს, შინაარსი კი—არა: წინწელი (წინწალი), ფათერაფი (ფათერაკი), კეპანი (კაპანი)...

ზოგ სიტყვას ბგერათმედგენილობაც შეცვლილი აქვს და შინაარსიც გაფართოებული: ფარღილი: 1. ყელსაბამი; 2. ასხმულა სხვადასხვა ჩირისა (ფარღული—ყელსაბამი).

თუშურს შესწორება შეაქვს ორხოვას, წვერის, სასალუქოს შინაარსის გაგებაში.

4. მატერიალური კულტურის სხვადასხვა დარგის —ტანსაცმლის, ზომის, იარაღისა და სხვათა სახელწოდებები

ყაბაჩა. „ყაბაჩა ძველად საქართველოშიც უხმარიათ, მაგრამ XII, XIII საუკუნის შემდეგ ამ სამოსელის სახელი ოდნავ ფონეტიკურად შეცვლილა და XIX საუკ. უკვე შენაზარდი რ-ს გაჩენის გამო ყაბარჩად ქცეულა... ხელმწიფის კარის გარიგებაშიც ყაბარჩა მამაკაცის სამოსელია... ის ფერადი ქსოვილისაგან იკერებოდა, მასთან იკერებოდა უტყაოდაც და ტყავიანიც¹.

თუშეთშიც ის მამაკაცის სამოსელია და ეწოდება ყაბაჩა || ჯაბაჩა: სალამო ხანს ციყის რო წარებ გუჯშვისა-დ დჰყბინავის, წავიდის წყაროსაკრ, დრყბანისა-დ მემრ ყაბაჩა || ჯაბაჩა წამოსხმულ გიყარის მეზობლებშიგ სასაობროდ.

ტყავ-კაბა. „ჩვეულებრივ პერანგზე ჩასაცმელ კაბას გარდა, ვეფხისტყაოსანში ტყავ-კაბაც არის აღწერილი, ტარიელი რომ როსტევეანმა და მისმა ამაღამ პირველად ნახეს, სწორედ ამით ყოფილა მოსილი:

¹ ი. ჯავახიშვილი, მასალები ქართული ერის მატირიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, გვ. 111.

„მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხის ტყავისა, ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარკმელი თავისა“¹.

თუშეთშიც მას ტყავკაბა ანუ ღურაფ ტყავი ეწოდება, პალტოსე-ბურადაა შეკერილი ბეწვიანი ტყავი: როწყა ძილი გვეძინების, ჩალიან შეჭებშიც ჩაეწვებოდა-დ ტყავ-კაბებს ზევიდან დავიხურავთ.

ხრალი. „ხის ისეთ ქერქს, რომელსაც მოსაქსოვად ხმარობენ, ქართულად ზოგად სახელად ხრალი ეწოდება. საბას ნათქვამი აქვს: „ხრალი ესე არს რაფც ხის ქერქი დაიხვევის და სფირიდად, ავრიტად და ნეკად და მისთანათად მოიქსოვების-ო“².

ასეთ ქერქს თუშეთში ხრალი ეწოდება. ცაცხვის, ლაფანის და მსგავსთა ხის ქერქს დიდი ხნით წყალში დებენ, მერე ქერქი ძაფებად იშლება; ძველად ამ ძაფისაგან ქსოვდნენ კაბებს, გრებდნენ თოკებს. ასეთ კაბებს ხარლის კაბები ერქვა.

„თითი“. „იერემიას მაგ. ნათქვამი აქვს სისქე ოთხთა თითთაჲ“³.

თუშეთსაც საზომის ერთეულად აქვთ თითი, მაგ., ხუთთითგაშლაფი ან ხუთთითდადებაფი. „ხუთი თითი გაშლილით“ იზომება საქალამნე ტყავი, საბელი, ჩათო და სხვა.

საბარკული „ისეთ ტანისამოსს ეწოდებოდა, რომელიც მხოლოდ მუხლებს ფარავდა და მოკლე ნიფხვის მსგავსი იყო“⁴.

თუშეთში საბარკული დედაკაცის ქვედა საცვალს ეწოდება.

ადლი სივრცის საზომი იყო და იხმარებოდა როგორც მიწის, ისევე ფართლულობის, საქონლისა ან საგნისათვის.

„ადლის“ ოდენობაზე საბა ორბელიანს არაფერი აქვს ნათქვამი, მხოლოდ აკად. გვლდენშტედტის მოუპოვება ამის შესახებ ცნობა. მისი სიტყვით, ადლი როგორც აღმოსავლეთს, ისევე დასავლეთ საქართველოში ერთი ზომისა ყოფილა და ინგლისურ 3 ფუტსა და 5 დუმს უდრიდა, ანუ მეტრული სისტემით 1,0160 მეტრს. ამგვარად, ქართული ადლი სიგრძით ერთ მეტრს უდრიდა, მხოლოდ ოდნავ მასზე მოზრდილი იყო⁵.

თუშეთში ადლი საზომი ერთეულია; ის სიგრძით ერთ მეტრს უდრის: ბნ, შენ სახლ რამთუენ ადლიგ!

მილიონი. ძველ ქართულში სიგრძის საზომად „უტევეანი“ და „მილიონი“ იხმარებოდა... „მილიონი“ სახარებაში გვხვდება (მათე V, 41)...

¹ ი. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, გვ. 117.

² იქვე, გვ. 196.

³ იქვე, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, წიგ. III, I, გვ. 132.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, გვ. 94.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი..., გვ. 134—135.

გ. მთაწმინდელს აღნიშნული აქვს, რომ იოანე მახარობლის ეკლესია ააშენეს „ლავრისაგან განშორებულად ვითარ მილიონ ერთ“. საბას მხოლოდ რიცხვით ოდენობად აქვს წარმოდგენილი¹.

მთაში მილიონაფი სიმრავლის გამოსახატავადაა გამოყენებული, იქნება ეს ბრტყელი ქვისაგან ნაშენი ბოძი, სვეტი თუ მთის წვერზე 1—3 მეტრის სიმაღლის ქვის გროვა ნაშენის სახით თავში თანდათან შევიწროებული რამეს სანიშნოდ.

გულა „ლიხთ იმერეთში ღვინისა და მარცვლეულობის საზომად იხსენიება“².

მთაში გულა გამოყენებულია ერბოს, ყველის, კალტის შესანახავად და საზომადაც: გულა ყველი, გულა ერბო და სხვ.; არის საჭმლის გულაც, რომელსაც ხაჭაშიაფ გულა ჰქვია; მომცრო გულა ანუ ტიკპორა კი არაყისთვისაა განკუთვნილი.

გალა „ბოსტნეულის გარკვეული ოდენობის ნაწნავს წარმოადგენდა“³.

თუშეთში მას გალაფი—გალაფები ეწოდება. ამ დაწნულ გალაფებს როგორც ძველად, ახმობენ და საზამთროდ ინახავენ.

ძნა „ამერ-იმერეთში იხმარებოდა მომკულ-გაულეწავი პურის, ქერისა და თივისათვისაც“⁴.

დასახელებულ მინდვრის კულტურებთან დაკავშირებით მთაშიც ძნა იხმარება, უფრო კი თივის გამოკლებით:

ძნის ასაკრავად ვაჟი სჯობ
საჭელ მალ შერეკებული...

სათარი „ვანტანგ მეფის დასტურლამალში გვხვდება შეშის საზომად: ბოლნისის გამოსალღების გარბებებში ნაცვლის სარგოდ სხვათა შორის თითო სათარი შეშა-ც არის აღნიშნული (გვ. 18). პ. უმიკაშვილს ამავე ძეგლის ლექსიკონში განმარტებული აქვს, რომ ეს ტერმინი „ერთის უღლის ხარით მოთრეულ შეშას აღნიშნავდა... საბა ორბელიანსაც ეს ტერმინი დაახლოებით ამგვარადვე აქვს განმარტებული: „სათარი შეშა მოთრეული-ო (ლექსიკ.). აქეთგან არა ჩანს, თუ როგორ იყოს შეშა მოთრეული, სახელდობრ რომ ერთი უღელი ხარით“⁵.

მთაში სათარი არის ხის მორი, უღელი ხარ-კამეჩის შემწეობით გათრევიტ წასაღები.

კოდი. კოდის სიდიდის გამოსახატავად XVI—XVII სს. ძეგლებში

¹ ივ. ჯ ა ე ხ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, გვ. 135.

² იქვე, გვ. 94.

³ იქვე, გვ. 124.

⁴ იქვე, გვ. 124.

⁵ იქვე, გვ. 125.

ჯერ ცნობები არ ჩანს. ვახტანგ VI ცნობით კი, ადგილია კოდი რვა ლიტრიანია, ადგილია ათი, იქნების რომე თორმეტლიტრიანიც იყოსო (სამართლის წიგნი, კარი ვალისა)¹.

თუშეთში კოდი მეტნაკლები სიდიდისაა, ის გამოიყენება სულადის, ლუდის, არყისა და მსგავსთა შესანახად:

კოდი მიდგანან საგვინი
გაღმომდინარნი ჰერიოთა...

საღვინე. „ხელმწიფის კარის გარიგებაში ღვინის ჭურჭლად არის ნახმარი, ვახტანგ მეფის დასტურლამალში კი—ამის გარდა ღვინის საზომის აღმნიშვნელიც არის². თუშურში საღვინე სასმისიცაა, მასთან საარაყე თიხის ჭურჭელიც.

თასი მთაწმინდელის თხზულებაში ღვინის სასმისის მნიშვნელობით არის ნახმარი... ხოლო შემდეგში აღმოს. საქართველოში ვახტანგ მეფის დასტურლამალში იხსენიება ბრინჯისა და საჭმლის ერთგვარ საზომად... თასი ჭურჭლის სახელი იყო და არის... საბა ორბელიანის განმარტებით „თასი სასმისია“... შემდეგ უკვე აქ და ცხოვრებაში ერთგვარ საზომადაც იხმარებოდა. უეჭველია ასეთ შემთხვევაში გარკვეული სიდიდის თასი იგულისხმებოდა და ალბად მისი ოდენობაც ყველამ დაახლოებით მაინც იცოდა“³.

თუშეთში თასი სასმისია; თასი ეწოდება ჯიხვის ყანწსაც.

„მშვილდ-ისარი უძველესი დროის ქვეყნებში მოიპოვებოდა. ისრითა და მშულდითა შევიდენ რ ოკერ და ეკალ იყოს (ასაჲას 724: ოშკი)⁴.

ეს სასრალი იარაღი თუშეთში ოდითგანვე იხმარებოდა, მას ისარფუჰინდი ეწოდება.

საგორავი. „საგორავით გამოაქციეს, მგრდალს დაუკარგეს მცნებანი“⁵.

საგორავი შეიძლება იყოს: კუნძი, გოხი, ქვა-ლოდა, მალლიდან დაგორებული, რომელსაც შეუძლია ზიანის მიყენება ადამიანისათვის, ცხოველისათვის.

საისრე „დანიშნულების გამომხატველი სიტყვაა ისევე, როგორც მერმინდელი საპირისწამლე და მრავალი მისთანა. ამიტომ, ცხადია, რომ როგორც საპირისწამლე თოფის წამლის საცავის აღმნიშვნელია, საისრეც ისრების ჩასაწყობი ბუდე და საცავი უნდა ყოფილიყო“⁶.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, III—I, გვ. 108.

² იქვე, გვ. 86.

³ იქვე, გვ. 129.

⁴ ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, გვ. 244.

⁵ იქვე, გვ. 243.

⁶ იქვე, გვ. 245.

თუშეთში საისრეცა გვაქვს, საისრეულოც, რომელთაგან პირველი ისრების ბუდეა, მეორე კი ადგილი, სადაც ისრებს ისვრიან.

საპირისწამლე თოფის წამლის საცავია.

ეხლად შენ შემოთამამდო
საპირისწამლე კრელო...

ფხა. „ფხად ითქმის მაკვილისპირთა მოლესილობა“¹.

იგივე მნიშვნელობა აქვს ფხას მთაში: ამ ხანჯარს კაა ფხა აქვის; აქედან ფხიანი—ბასრპირიანი, გადატ. მოხერხებული, ყოჩალი.

სადავე—„ცოტა სადავის აწევა და ცხენის უკან უკუდგომა“².

თუშეთში ხმარობენ საღვევხ: ჩემ ცხენმ კაა საღვევ იცის, ე. ი. კარგი მიყოლა ადამიანისადმი.

აფუნდა... „რა შორილამან მეფე დაინახეს ცხენით მომავალი, ამით დაუქვეითეს, დიდი გზა ფეხდაფეხ წაიარეს, მეფეს ცხენს მჯდომს აფუნდას აკოცეს“...³

თუშეთში იხმარება აფუნტაყი—აფუნტაყები: ზადირო, კარგაყ აფუნტაყებ გაქუ.

სანიჰარი „ქორწილის შესაწირავი ტანთსაცმელი, რომელსაც უწინ სანიჰარს უწოდებდნენ“⁴.

თუშეთშიც იხმარება ეს სიტყვა, მაგრამ გარდაცვალებულთან დაკავშირებით, სახელდობრ: გარდაცვალებულის პატრონს ნათესავები დაეხმარებიან ზოგი ფულით, ზოგი ყველით, ზოგი სულადით და ა. შ. ამ დახმარებას ეწოდება სანიჰარი; სამაგიეროდ სანიჰარში დამხმარეებს მისცემენ: გარდაცვალებულის ტანისამოსს, თოფს, ხანჯალს, ნაბაღს, ცხენს, ლოგინს, მაფრაშას, მათრახს და სხვ. წამლებიც იტყვის: სულისად მომცესო.

კოწოლი

„ალვის ხეტანი,
მსგავსად შემტანი
აქვს კოწოლდაყრით
კვიპაროზისა“

შავთელის ზემომოყვანილი შედარებიდან ჩანს, რომ თმის მოგრძო კულულებად დაყენება სცოდნიათ, კულულებს კოწოლი ჰრქმევია, თვით თმის ასეთ დაყენების წესს კი კოწოლ-დაყრით... სწოდებია“⁵

¹ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, გვ. 250.

² იქვე, გვ. 279.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 117.

⁵ იქვე, გვ. 34.

თუშეთშიც კოწოლი—კოწლები კულულებია:

ქალო, შენ კეკელულო,
კოწლებ დაყრილო, მზის მაჯუფთავევ...

ველოსანი. „წელი მნიშვნელობით ლათინურს manus უდრიდა და უფლებასა და საქმეს ეწოდებოდა... ვისაც რაიმე თანამდებობა „წელი“ ჰქონდა, ის „ველოსანი“ იყო და „მოკელი“¹.

ველოსანი იგივე დეკანოზი, ხალხის მიერ არჩეული პირი იყო მთაში, მას ევალებოდა „ზედაშეების“ დალოცვა.

ეჯიზი. „ქართული ეჯიზი არაბულს ჰაჯიზს უდრის. ეს სიტყვა არაბულად მეკარეს, მეკარეთუხუცესს, ცერემონმაჰსტერს ნიშნავდა, ჩვეულებრივ არაბულში და სპარსულშიაც მარტივად ჰაჯიზად იხმარებოდა... ეჯიზს დარბაზში შესვლის განსაკუთრებული უფლება აქვს და მეფისადმი მთხოვნელთა სურვილის მომხსენებელია; საყურადღებოა, რომ საქართველოში ეჯიზები მარტო მეფეს კი არ ჰყოლია, არამედ დიდებულ ხელისუფლებს და თვით დიდებულ მანდილოსნებს².

სიტყვა ეჯიზი ორ ეჯიფი დღესაც იხმარება თუშეთში და დაკავშირებულია „მეფესთან“ და „დედოფალთან“; მათ ეჯიზებიც ცალცალკე ჰყავთ, ისინი მათი ყურის მგდებნი არიან: ეჯიზი ორ ეჯიფი წავალის პატახლის მოსაყვანად.

კაზიწი „კახა ერისთავთ-ერისთავს რკონის 1259 წ. სიგელში ნაბრძანები აქვს: საზომ ღუნოისა და ფქვილისა ანუ სეფისკუერისა და კიქაი, კოკაი და კაზიწი—ყუელაი გამოწყული იყოს და ეგრე წაიგებოდესო“³.

თუშეთში კაზიწი ფქვილის საწყაო ჯამია; დაწყვისას თავს კონუსისებურად მოაბამენ.

ქურო „ყოლჩაყ თურქულად სამკლავეს და ქუროს ნიშნავს. საბას განმარტებით „ქურო არს ორთავე ჯელთა შესაყოფი, ბეწვიანი, ფართო, სითბოსათჳს“⁴.

თუშეთშიც მსხვილი ძაფისაგან ნაქსოვი ხელთათმანებია: დალიშნულ მისცემს მოლიშნეთ სათითაოდ წინდაყებს, ზოგ ქუროებს, ზოგ ცხვირის ძონძებს.

საციქუელი ღომის საზომად იხმარებოდაო, ივ. ჯავახიშვილი ამბობს: „ცხრა საციქუელი ღომი“, „ათი საციქუელი ღომი“⁵.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, გვ. 108—9.

² იქვე, გვ. 164.

³ ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, წიგნი III, გვ. 61.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, გვ. 59.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, წიგნი III, გვ. 92.

შესაძლოა, თუშეთშიც ასეთი საწყაო თუ საზომი იყო საციქუელი, მაგრამ დროთა განმავლობაში მან დაკარგა ეს მნიშვნელობა, საოჯახო ნივთებში კი შემოინახა: საციქუელი ყოველდღიურად სახმარი საოჯახო ნივთია.

ამგვარად, მატერიალური კულტურის სხვადასხვა დარგის ლექსიკის ბევრი სიტყვა დაწერილობისა და შინაარსის შეუცვლელადაა შენახული თუშურში;

ზოგიერთმა სიტყვამ დაწერილობა შეიცვალა: ხარალი (ხრალი), საღვეე (სადავეე), ყაბაჩა II ჯაბაჩა (ყაბაჩა), აეჟანტაყი (აეჟანდა), ისარფ-შეინდი (მშვილდისარი)...

ზოგიერთმა სიტყვამ შინაარსი შეიცვალა: საბარკული, სანიჰარი...

ზოგიერთმა სიტყვამ კი მეორე სახელიც დაირქვა: ტყავკაბა, ანუ ღურაყტყავი....

5. თუშურის, ზოგი კავკასიური ენისა და ჰართველური ენების საერთო ლექსიკური მართებები

მაგალითები: ნარჩხავი დარქმეული აქვს ადგილს თვისების მიხედვით—ბუნებრივი მოვლენების გამო სხვაზე მეტად რომ ირეცხება, ისე როგორც ნარღვევთანა ეწოდება ადგილს, რომელიც ბუნებრივი მოვლენების გამო რომ ირღვევა, შვავდება.

ნარჩხავიდან გამოიყოფა რჩხ, რომელიც მეგრულ რჩხულაშია მოცემული (შდრ. ნახუა). იგივე ფუძე დაცულია მეგრულიდან გურულში შესულ ორჩხუში, ორჩხუში—ბლის ქერქისაგან გაკეთებული მოკლე ცოცხია, გამოყენებული ქვევრების სარეცხად: ორჩხუში—რეცხვისა. იგივე ძირია რჩხაში, რომელიც ტოტებიანი მომსხო ხეა მეცხვარის ბინასთან დასობილი სველი ნაბდის, თექისა თუ სხვათა გასაშრობად: სველი მიგდია ნაბადი, ველარ გავაშრე რჩხაზედა... განზოგადების შემდეგ ასეთ ტოტებიან ხეს ასობენ ბინიდან მოშორებით და მასზე მეცხვარე ჰკიდებს გულას, ნაბადს, ქვაბს..., რომ ცხვრის ძოვების დროს მოძრაობასთან დაკავშირებით ეს ტვირთი თან არ ატაროს. ჰანურში მისი შესატყვისია ორჩხუ—რეცხვა¹.

ანთაჲ კაცის სახელია

- ანთაჲ, ივანე რა უყავ,
- ყმაწვილ იუჲ უმეცარიო,
- ივანე ჰვაკილს გავწირე,
- დაკრილი, რაყვერე მჯალიო...

აქედან გვაქვს გვარი ანთაყანთი—ანთაძე, როგორც მელწყანთი—მელწყაძე, ინაურიაყნთი—ინაურიძე... ყიყის ცხუარ ანთაყანთი ყოფილიყო.

¹ ს. ელენტი, ჰანურ-მეგრულის ფონეტიკა, გვ. 97.

სახელი ანთა უკავშირდება მესაქონლეობისა და ნადირთ მფარველი ღვთაების სახელს, რომელიც როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ყოფილა დაცული. „მესაქონლეობისა და ნადირთ მფარველი ღვთაება თუ აღმოსავლეთ საქართველოში ანატორის სახელით არის დაცული, დასავლეთ საქართველოში მეგრელებს „ანთარ“-ად უდიდებითა და აბნაზებსაც იგი „აფთარი“-ს სახელითა სწამთ. ამგვარადვე, თუმცა გურიაში ეხლა „ანთარი“ არ ახსოვთ, მაგრამ წინათ იქაც უნდა ყოფილიყო, რათგან „ანთარ“-ის ბოლოკვეცილი ფორმა „ანთა“ გურიაში, როგორც ეტყობა, ადამიანის სახელადაც ყოფილა მიღებული. ამ „ანთას“ სახელითგან უნდა იყოს ალბათ საგვარეულო სახელი „ანთაძე“ წარმომდგარი“¹.

ასევე ვგბი, ვგბუ, ობი სახელებში შემონახულია პარასკევის დღისა და ღვთაების წარმოშობის დროინდელი ქართული სახელები, რომლებიც, აკად. ივ. ჯავახიშვილის თქმით, მარტო მეგრულსა და სვანურშია დაცული.

პარასკევის დღისა და ღვთაების წარმართობის დროინდელი ქართული სახელი მარტო მეგრულსა და სვანურს-ლა აქვთ შერჩენილი. პარასკევის მეგრული სახელი „ობი-შ-ხა“ და სვანურის „ვებიშ“ ღვთაების სახელად „ობი“-სა და „ვები“-ს გვამცნევს“².

მაშასადამე, ეს სახელები საერთოა სამეგრელოს, სვანეთის, თუშეთის, ქისტეთ-დიდოეთისათვის..., რაც უთუოდ საგულისხმოა.

მზირი მოთვალთვალე:

...ნეტარ ის ვინ არის
თუ მზირია ჩვენი გზისა,
თურჩ არის ჩვენი მზირი,
ოთხი კაციც გვერდს უზისა...

აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს:

პროფ. ნ. მარს ძველი „მზინა“ და მდაბიო „ბზინა“, მზისაგან ნაწარმოებ ნასახელარ ზმნად აქვს მიჩნეული (იხ. ОСНОВНЫЕ ТАБЛИЦЫ, 3 შენ.). სანამ ამ მნათობის პირველად სახელად მზე და ბუა იყო მიჩნეული, ასეთი აზრი ბუნებრივი იყო, მაგრამ რაკი ეხლა ირკვევა, რომ მზის სახელის უძველეს ფორმად „მზირა“ (მზერა) და „მეჟარა“ უნდა ყოფილიყო, შეიძლება საკითხი შემოტრიალებულ იქნეს“³.

ჭუჭუტაძე ძალიან პატარა რამე; ორსაგანს შორის ვიწრო ღია ადგილი: ბიჭუ, ყე, მაგ ჭუჭუტაშიგ გნცხედ.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 106—107.

² იქვე, გვ. 130—132.

³ იქვე, გვ. 119.

ეს სიტყვა ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებს ეკუთვნის.

ჭუჭუტა. პირველი ფუძის ტ დაკარგულია, როგორც ჩიჩინი (ჩინ-ჩინი), დაწიწილაკება (და-წილ-წილ-აკ-ებ-ა)...

იმავე სახით ეს სიტყვა ჭანურში გვაქვს: „არ ჭუჭუტა ნჯა რენაა-ერთი პატარა ხე არისო“¹. იმავე ჭანურში „ხოფური ქიტა, არკაბუ-ლი ჭუტა, ვიწური წუტა პატარაა“².

აქედან გურია-სამეგრელოში ჭუჭა—ჭუტა საკუთარი სახელია ტან-მომცრო ქალისა; ქიტა კი დამალულის ოდნავ, სულ მოკლე ხნით მსწრაფლ გამოხედვია.

ერულაფი ცეკვა ფერხული, შესრულებული რამდენიმე პირის მიერ ხელებჩაკიდებით: ბიჭებზე, ყვრთ ერულაფი ჩავაბათ! დღეს ეს ცეკვა დაეიწყებულა. ამავე დროს წისკვილის ზედა ქვას ერულზე ეწოდება: გუშინასნ ალონით ერულზე მოვილი. ამავე სახელწოდებას ატარებდა ერთ-ერთი საეკლესიო დღესასწაულის—ერულსალეთობის დროს გამო-მცხვარი დიდი პური, რომელსაც ამ დღესასწაულის დღეს თამაშის დროს მალლობიდან დააგორებდნენ და თან დაედევნებოდნენ დასაჰერად, სანამ ის დატყდებოდა. მასთან ავსულთა შეყრას და ღრეობას (რაც თითქოს ხდება) ერული || არული ეწოდება: ფიცრის ჭალაშიგ (ადგ.) ეშმათ ერული || არული გეგმართ. ფიცრის ჭალაშიგ ეშმათ ერულაფი ჩეგბ.

თუშურში არსებული ერული ბადალია ლიტერატურული ქართული ენის არულის, რომელსაც თავის დროზე, ალბათ, ფართო გამოყენება ჰქონდა. ერთ ლექსში ვკითხულობთ:

ჰე, არული გაუმართავთ
ერის ხილზე კუდიანებს...

აქედანაა სიარული და ილიას მიერ ნაწარმოები მოარული: „თავისუფლად მოარული საქონელი; გზატკეცილზედ მოარულნი“¹.

მასთან კავშირში უნდა იყოს მარულა (არულის მონაწილე) ნაწარმოები ისე, როგორც მამბაყუნა (ბოლოქანქალა), მამუქა. რა აქვთ მათ საერთო? ფუძე და მოძრაობის ფუნქცია, ა და ე მითითებითი ნაწილაკებია.

თუში საკიდელის ერთი სახეა, სახელდობრ: სწორკუთხედი მაგარი ჯოხი, რომელსაც ქვედა ნაწილი გრძელი აქვს ზედა ნაწილთან შედარებით. ამ გრძელი ნაწილით მას მიწაში არკობენ, მოკლე მოხრილ ნაწილზე ქვაბს ჰკიდებენ. გამოყენებულია მეცხვარეობაში. ეს

¹ ს. ე ლ ე ნ ტ ი, ჭანური ტექსტები, გვ. 215.

² ს. ე ლ ე ნ ტ ი, ჭანურ-მეგრელის ფონეტიკა, გვ. 82.

³ ი. ჭ ა ე კ ე ა ძ ე, ტ. VII, გვ. 205, 218.

სახელი დაკავშირებულია მეგრულ თუშთან. მათ საერთო აქვთ ფუძე:

„ჭან. თ-ი—თავი ГОЛОВА

მეგრ. „თუში ურმის კაეები КРЮЧКИ у ГОЛОВНОЙ ЧАСТИ ВОЗА“.

ქართ. თ-ავ-ი ГОЛОВА

თუში ჩოჩიალა ურმის კაეები, რომლებიც თავში აქვს ურმის ხელნებს მოდებული და უდელსაა მიკრული: თუ-ში—თავისა“¹.

მეცხვარეობაში თუშების მიერ ნახმარი თუშიც კავია, ოღონდ კავი—საკიდელი.

ქანჩი სალოკი თითის სიმსხო მტკაველი სიგრძის სწორი, მაგარი ჩხირი, რომელზეც ახვევენ კანაფს და წაქანაქნარ ყველიან გუდას თავს მაგრად უკრავენ.

საზოგადოდ ტომრის, გულის და მსგავსთა თავის მოსაკრავად მაგრად დაქანვის, დაზიდვის, გაწვევის საშუალებას ეს ჯოხი იძლევა და მისი სახელიც აქედანაა.

ამ სიტყვის შესატყვისია როგორც ფუძით, ისე შინაარსით.

ჭან. ქაჩ (ხელში) დაჭერა держать (вруке), хватать

მეგ. ქანჩ ხელის წავლება, გაწევა схватить, тянуть

ქართ. ქაჩ“²

გონთ კარგად. იხმარება შეხვედრის დროსაც როგორც ერთმანეთის, ისე ოჯახის წევრების მოსაკითხავად.

შეხვედრისას მისალმების შემდეგ ერთი ჰკითხავს მეორეს:

—გონთ ხართაჲ?—მეორე უპასუხებს:

—გონთ, გონთ; თავად?

ამ სიტყვას საერთო ფუძე აქვს ჭანურ-მეგრულ-ქართულთან, სადაც ის ნიშნავს გაგონებას, გაგებას, მიგნებას—ჭანურში; გაგონებას, შეგრძნობას—მეგრულში, слышать, понять—ქართულში³.

მაშასადამე, შეხვედრის დროს ერთმანეთისადმი ნათქვამი გონთ ხართაჲ? (გონს ხარ?) ნიშნავს გაგონების, მიგნების, გაგების, შეგრძნების გარჩევის, აღქმის უნარი გაქვს თუ არაო. ალბათ, ეს არის მიზეზი, რომ ჩამოთვლილის გამოსახატავად გონი მრავლობით რიცხვში დგას.

სწორედ ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა ძველ სომხურში სიტყვას შიტქ (ქ მრ. რიცხვს აწარმოებდა) მქთ⁴.

¹ არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 43—44.

² იქვე, გვ. 333.

³ იქვე, გვ. 262.

⁴ ი. შილაკაძე, ძველი სომხური ენის გრამატიკა, 1953, გვ. 200.

გორა: გორდაგორ ჩამოგორევედა აბრაშუნისა საცერი (მთვარე).

ამ სიტყვის შესახებ ვკითხულობთ: „განსაკუთრებით ახლო მდგომი და მნიშვნელობით იდენტური სახით ეს ქართულ-ზანური ტერმინისლავურ ენებშია დამოწმებული“¹.

ციცო

გუალ, ციცო, დარბახს წავიღეთ.
კოდ გვაქვის დასალოცავი...

ციცოს არეკაყი. ყერთ ციცო ყოფილიყუ... ჟეს რაყვეერ გაშინებ-თაჟ, ერაწუ ციცოიაჟ...

„აკად. არნ. ჩიქობავა ასახელებს რა სევანურ ციცუ, ხეეს. ციც, ქართ, ციც-უნ-ია-ს, ფიქრობს, რომ შეიძლება სწორედ ეს უკანასკნელია ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი სახელი კატისა, კატ ფუძე კი, რა თქმა უნდა, შეთვისებულია“².

საწდე მალალი ჭურჭელია ხისა; მასში ასხამენ მოხარშულ ლუღს. საწდედან გამოიყოფა სა -ე აფიქსები დანიშნულებისა და წდ, რაც სევანურ წგდ || მგწდაი“-ში გვაქვს.

ლაშქარი

ლაშქარს თოფიმე ვაუსკლბ,
დარჩების სირცხილიანი...

იგივე სევანური ლაშგარ || ლაშგარ-ია.

ბელელა გომეწრის სოფელია თუშეთში. იგივე ბელ ძირის შემცველია, რაც ქართულ ბელელში გვაქვს. „ბელ ძირი კანონზომიერადაა წარმოდგენილი ბალ-ით ქანურსა და მეგრულში... ბალუ-ს და ბელელის მნიშვნელობა ერთი და იგივეა“³.

ქარაფი,-ები კედლად აღმართული კლდიანი მალალი გვერდია ღრმა ხევისა. როყცა რომაჟ ქარაფის ბილიკაცს მივეტანეთაჟ, ყის ქალიჟ თავადაც ქარაფზედ გადავარდაო-დ ბელადიც თან წოყტანაჟ.

„ქარაფი, როგორც ჩანს, ნაპრალი უნდა იყოს, ღრმა ხევის დაქანებული კიდები; თამარ მეფის ისტორიკოსს მაგ. აღნიშნული აქვს, რომ ანისში, „გარშემო სამგნით ქარაფი იყო კლდიანი და ქვაბიანი“⁴.

ჭალა

ვიწროდ დაგბანდავ, ჭუნჩაო,
გზის შორის გამჭანებლო,
ნელ-ნელა შემოგლაჯავდი,
ქალაყო, ქუაჯიდისაო...

¹ გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 22.

² იქვე, გვ. 212.

³ არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 151.

⁴ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 5.

სამკვეთის კალაშიც ცხენებს მოვხადეთ.

„როგორც მდინარის ნაპირზე „ზღვის კიდესა“ და „ზღვის პირსაც“ (მტ^რე ქ^ა 493—499, გვ. 266) ადამიანი შეხვდება კალას (მტ^რ-
ენ ქ^ა-გვ. 263)“¹.

მეუმარა კვირა. როდესაც ახალგაზრდა დიდოს ლაბაზანეცს საუბრის დასასრულს ვკითხე ახლა რას აპირებ მეთქი, მან მიპასუხა: სიდა მეუმარა ხიზორ იკმაით^ლ ხუშეთალორ—ერთი კვირის შემდეგ წავალ ხუშეთში.

საყურადღებოა სიტყვა მეუმარა, რომელიც შედგენილი ჩანს სიტყვებისაგან მეუ და მარა. სვანურში მიე არის მზე, მარა კი მეგრულში კვირაა: ართი მარა გეთუ—ერთი კვირა გათავდა. მეუმარა მიღებული მეუმარადან ნერთია და ნიშნავს მზის კვირას.

მაშასადამე, დიდოს წინადადება მიიღებს ასეთ სახეს: ერთი მზის კვირის შემდეგ წავალ ხუშეთში.

ცნობილია, რომ ქართულში კვირა მზის დღედ და ორშაბათი მთვარის დღედ ითვლებოდა. მეგრულში მსგავსი ვითარება ახლაც გვაქვს. ორშაბათი თუთაშა (თუთაში დღა) მთვარის დღედ და კვირა ქაშა (მქაში დღა) მზის დღედ იწოდება. სვანურშიც კვირას მექლა-დელ (მეკემლადელ) ეწოდება. თუ დიდოურში ნახმარი მეუმარა გულისხმობს არა ერთ დღეს, არამედ მთელ კვირას, ეს იმიტომ, რომ „ეს სიტყვა (მზე) თავდაპირველად მზის სახელი კი არა, არამედ მნათობის ზოგადი ცნების გამომხატველი იყო და ამიტომ მთვარის აღსანიშნავადაც შეიძლება ნახმარი ყოფილიყო“².

ცნობილია, რომ ბაცებების ანუ წოვების მეურნეობის ყოველი დარგი, ყოფაცხოვრებითი ხასიათის ყრველი ფაქტი სავსეა ქართულიდან შესული სიტყვებით და ეს შიფნერისა და დემერიევის მიერ თვალნათლად ნაჩვენებია. ყურადღებას იქცევს მხოლოდ ზოგიერთი სიტყვა, რომელსაც დემერიევი აკუთვნებს ბაცური ლექსიკის ძველ შეურეველ ფენას, სინამდვილეში კი ასეთი სიტყვა ქართველური ენების კუთვნილებაა, მაგალითად, დემერიევი წერს:

„Из названий плодов и плодовых деревьев в древним (догрузинским) пластам относятся кхор яблоко (ср. восточновенихское кхор груша) и бал вишня (ср. восточновенихское бал в том же значении)³.

ბალის შესახებ ვკითხულობთ, რომ

¹ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 8.

² იქვე, გვ. 130.

³ Дешериев, Бацбийский язык, 1953, გვ. 334.

„ჭან. ბ-ულ-ი ბალი ბალ ფუძეს ჭანურსა და მეგრულში
 მეგრ. ბ-ულ-ი черешня შეესატყვისება ბულ; ალ/ელ დეტერმინანტი
 ქართ. ბ-ალ-ი სუფიქსია სვან. ჰე-ბ-ში ძირეული -ბ- იგივე
 სვან. ჰე-ბ დეტერმინანტია. სუფიქსი არა აქვს, ჰე
 თავსართი ფორმანტი უნდა იყოს. ნ. მარი
 შენიშნავს (იხ. ჭან. გრამ., გვ. 132): ახალ სომხურში რომ რაღ გვაქვსო,
 ეს ქართული ბალი არისო“¹.

„Катам курица относится к догрузинским пластам бацбийской
 лексики (ср. восточновенахское катам в том же значении“².

„ჭან. ქოთ-უმ-ე ქართ. ქათ-ამ-ი
 მეგრ. ქოთ-ომ-ი სვან. ქათ-ალ

ქათამ ფუძეს კანონზომიერად შეესიტყვისება ქოთომ ფუძე მეგრული-
 სა. ჭანურში მ-ს უშუალო მეზობლობაში ო→უ: ქოთომ→ქოთუმ; სა-
 ზელობითის ნიშანი ჭანურს -ე აქვს. სვან. ქათალ გვაფიქრებინებს,
 რომ ძირეულია ქათ, მაგრამ ათინურ ქორმეს თუ დავეყრდნობით,
 ქორ || ქო პირველ ძირად უნდა მიგვეჩნია, თამ-თომ || თუმ მეორე ძირად,
 ქათამ || ქოთომ || ქოთუმ კი—რთული ფუძე, კომპოზიტი იქნებოდა“³.

„Древнее бацбийское название соломых чал (ср. восточновеи-
 нахское чал сейчас вытеснено наименыванием грузинского проис-
 хождения“⁴.

„ჭან. ჩალ-ა ჩალა, сухой стебель кукурузы
 მეგრ. ნა-ჩალ-ი სიმინდის ყანა ჩალის პოჭრის შემდეგ
 ქართ. ჩალ-ა поле после уборки кукуруз. стеблей
 сухой стебель кукурузы.“

ჭანურსა და მეგრულში ჩალა საერთოა; მეგრულში ახლა ჰა იხმა-
 რება ჩალის მნიშვნელობით, მაგრამ ნაწარმოები სახელი ნა-ჩალ-ი...
 ცხადყოფს, რომ ჩალა ჭანურის მსგავსად მეგრულშიც გვქონდა⁵.

„Мзахали груз. мдзахали (ср. восточновенахское захалу, захал-
 ой в том же значении“⁶.

ჭან- მ-ზახ-ალ-ი მზახალი, свояк, свояченица
 მეგრ. ძახ-ალ-ი
 ქართ. მ-ზახ-ალ-ი || მ-ძახ-ალ-ი

¹ არნ. ჩი ქო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 123.
² Дешернев, Бацбийский язык, გვ. 334.
³ არნ. ჩი ქო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 96—97.
⁴ Дешернев, Бацбийский язык გვ. 335.
⁵ არნ. ჩი ქო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 145.
⁶ Дешернев, Бацбийский язык, გვ. 131.

საბას განმარტებით „მძახალი—სიძე-სძალთ მამა-დედანი“... ძირია ზახ; ზ-სა და ძ-ს შენაცვლება, უკეთ რომ ვთქვათ, სპირანტ ზ-ს აფრიკატ ძ-დ ქცევა, ჩვენს ენებში სხვა მაგალითებითაც არის წარმოდგენილი (ზრახვა-ძრახვა)¹.

ეს ფაქტები მხოლოდ იმის მთქმელია, რომ ბაცებებისა და ქართველების მკიდრო ურთიერთობა უძველესი დროიდან მიმდინარეობს. ეს არის მიზეზი, რომ ბაცებს ორენიანობა ახასიათებთ, ბაცურთან ერთად მათ მშვენივრად იციან ქართული ენა და მშობლიურ ენადაც თვლიან მას. ეს საერთო ენობრივი მონაცემები შემთხვევითი ხასიათის არ არის. ის ნაშთია იმ ახლო მეზობლობისა, რომელსაც ისტორიული ცნობები ტერიტორიულად დღეს დაშორებულ კუთხეებს შორეულ წარსულში ახლო მეზობელ კუთხეებად იხსენიებს, მაგ., ლეონტი მროველი ამბობს: „დედოფთიდგან ვიდრე ეგრისამდე არს სუანეთი“.

ივ. ჯავახიშვილი ლეონტი მროველის ამ ცნობას სარწმუნოდ მიიჩნევს, ის წერს: „ლეონტი მროველის ზემოხსენებული ცნობა როგორც ეტყობა რომელიღაც ძველი საისტორიო წყაროთაგან უნდა იყოს ამოღებული და ქართველ ტომთა მოსახლეობის ძველისძველ მდგომარეობას გვისურათებს... სვანებს უეჭველია ეხლანდელზე მეტი მიწა-წყალი უნდა სჭეროდათ და მრავალი სხვა საბუთებიც სვანეთსა და კახეთს ერთმანეთს უახლოებს და მოსახლეობის ამ ვითარებას გვიხატავს ლეონტი მროველის ეს ზემოდმოყვანილი ძვირფასი ცნობა, მაგრამ რა საზღვრები ჰქონდა სვანეთს VII—XII ს. ს. სამწუხაროდ არ ჩანს“².

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შორეულ წარსულში ქართული ენა გავრცელებული ყოფილა კავკასიის მთიანეთში.

6. გეოგრაფიული სახელები

თუშეთი, რომელიც მდებარეობს გომეწრისა და პირაქითის ალაზნის აუზში, იყოფოდა ოთხ თემად ანუ რვა საზოგადოებად.

ვახუშტის ცნობით, თუშეთის სოფლების რიცხვი უდრიდა 73, რომელთაგან ჩაღმის და გომეწრის საზოგადოებებზე მოდიოდა 37, პირიქითისაზე კი—36. ხშირი ომების, ბუნებრივი მოვლენებისა თუ სხვადასხვა ეპიდემიურ დაავადებათა შედეგად ბევრი სოფელი დაკარგილდა, გაუქმდა. დღეს ომალოს || უმალოს საბჭო აერთიანებს თუშეთის სამი საზოგადოების 37 დიდსა თუ პატარა სოფელს.

¹ არნ. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 39—40.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 47.

გომეწრის სოფლებია: დადიკურთა, კოკლათა || კოკლაყათა, ბიქი-ურთა, გულანთა || გულაყანთა, ილურთა || ილიყურთა, ვერხოანი, ჯვარ-ბოსელი, ალისგორი, ვეძისხევი, ვაკისძირი, ბელელაყი, დოჭო || დოჭუ, ბოჭორმა || ბოჭორნა.

გომეწრის ცალკე კუთხეა ივანაყურთა, რომლის სოფლებია: ვეს-ტომთა, ვესტმო, საჩილოლო.

ჩაღმის სოფლებია: ომალო || უმალო, შენაქო, დიკლო, ქუმელაურთა, აგვერთა || აგეყურთა.

ჩაღმის ცალკე კუთხეა ჯანჯახოვანი, რომლის სოფლებია: ხახაბო || ხახაბუ, ხისო || ხისუ, შტროლთა, ჩიგლაურთა, ქველურთა, ცოკალთა, ნაციხარი.

პირიქითის სოფლებია: დართლო, ჩილო, კვავლო, დანო ქეწო, კონ-თქიქ ფარსმა, დაქივრთა, გირევი.

რაც შეეხება მეოთხე თემს—წოვათას, ის დიდი ხანია გაუქმებულია და მისი მცხოვრებნი კახეთში არიან გადასახლებულნი მე-18 საუკუნეზე ადრე, ვინაიდან მეფე თეიმურაზ II დროს კახეთში იხსენიებიან, ამ თემის დაცლის შესახებ ალ. ხახანაშვილი გაზეთ „ივერიაში“ წერდა: „წოვათაში ხუთი ნასოფლარია: ეთელტა, საგირთა, წარო, ინდურთა და მიზართა. როდის დაანებეს წოვებმა წოვათას თავი და გადმოსახლდნენ ალვანში, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, სიბნელით არის მოცული, მხოლოდ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ისინი მეთვრამეტე საუკუნეზე ადრე უნდა იყვნენ გადმოსახლებულნი, რადგანაც მეფე თეიმურაზ II დროს ალვანში იხსენიებიან. როგორც ერთი გუჯარი მოწმობს: ამ საუკუნის დასაწყისში საგირთაში მოვიდა დიდი ნიაღვარი, რომელმაც ისე წაახდინა სოფელი, რომ სახლი კი არა, ქვაც აღარ დაუნარჩუნებია ქვაზე, მცხოვრებლებმა თავი დაანებეს სოფელს; ამის შემდეგ რამდენიმე წელიწადს ისევ წოვათაში გადადიოდნენ, შემდეგ რუსეთის მთავრობას სთხოვეს ზაფხულში საცხოვრებლად ტბათანის მთა. მთავრობამ შეიწყნარა მათი თხოვნა. ეს მოხდა ამ საუკუნის ორმოცეულ წლებში. საგირთელებმა თავი დაანებეს წოვათას, მათ მიჰყვნენ სხვა სოფლის წოვებიც და მის შემდეგ წოვათას აღარ გადადიან და რჩებიან ტბათანაში“¹.

თუშეთის გეოგრაფიული სახელების მრავალფეროვნება თავისი წარმოშობისა და შედგენილობის მიხედვით გარკვეულ ინტერესს იწვევს, ვინაიდან გეოგრაფიული სახელების შესწავლა საზოგადოდ ხელს უწყობს, ეხმარება ამა თუ იმ ტერიტორიაზე ძველად მოსახლე ხალხის ეკონომიურ-კულტურული, სოციალური ვითარების ნათელყოფას, ხალხთა ადგილმონაცვლებისა და მისი მოძრაობის გზების შესწავლას,

აგრეთვე ენის ვითარების, მისი ცვლილება-განვითარების მიზეზების გამორკვევას.

წარმოშობის მიხედვით ეს სახელები იყოფა სამ ჯგუფად: პირველს ეკუთვნის ქართული სახელები, როგორცაა: ვაკისძირი, საჯიგვე კილდე, ჩაღმა, პირიქითი, ჭანჭახოვანი, ბელელაყი, ჩირდილი, დარბაზი, წყალმისაბრუნე, საჩხატაყი, ალისგორი, ახოსწყარო, ბაგათანაყი, ვეძისკვევი და სხვ.

მეორე ჯგუფს ეკუთვნის უცხო წარმოშობის სახელები, როგორცაა: ხისუ, რეკუ, ფელორი, ხიმუ, ტიე, წასნე, კოკლათა, ილბეე, აბლუჟ, ბუცე...

მესამე ჯგუფი გეოგრაფიული სახელებისა ნარეგია, ასეთებია, მაგ.: სავინთწყარო, ბუცესგორი, ცოკალთსამარე, ახვაკე, სონეხი, ზეთწასნე, სათიბრუანი და სხვ.

წარმოების მიხედვით თუშეთის გეოგრაფიული სახელები არის თანა დართული: ნარღვევთანა, კილდეთანა, სააყრეთანა, კართანა, ჭურჭვეთანა...

კილდეთანა ი განვითარებული ფორმაა კლდისა. აყარი—აყრები საჩქებად დადგმული შეშაა, აქედან სააყრეთანა—ადგილი, სადაც ასეთ შეშას დგამენ. ჭურჭვეთანა კვა-ღორღიანი, ძნელად გასასვლელი ადგილია.

აწარმოებს გენეტივის თა: ქუმელაურთა, ილურთა, ივანაყურთა, გოვრულთა... (ქუმელაისძე—ქუმელაშვილი, ილიაისძე—ილიაშვილი, ივანაისძე—ივანაშვილი).

ერეკლე ჩირდილისაო, შენ დამიგმენ გოვრულნი...

მაწარმოებელია ეთ: ორეთი, თოთიეთი, ვადაეთი...

მაწარმოებელია ოვან, ვ-ს ჩავარდნით ოან: ჭანჭახოვანი, სრელოვანი, მაგრამ: ვერსოანი, საბოლოკოანი...

ჭანჭახი || კენჭები გეოგრაფიულ სახელად გვხვდება აჭარაში, ჭანჭახი მდინარეა რაჭაში, ის ჩამოუდის სოფ. გოლოლას. თუშეთში ის მთელი ხეობის სახელია. ამ ხეობაში მიედინება ციცაბო კლდეებიანი მდინარე გომეწრის ალაზანი.

ჭანჭახიდან ივ. ჯავახიშვილი გამოყოფს ჭანჭი-ს, რაც ნოტიო, ჭაობიან ადგილს ნიშნავსო.

მაწარმოებელია უან მომდინარე ოვან-ისაგან: ყანუანი, არყუანი; მაწარმოებელია ქონების სუფიქსი იან: დიყიანი (სადაც ბევრი დიყი იცის), ნაშლიანი (ადგილი, რომელიც იშლება, ირღვევა), ფიჩხიანი (სადაც ფიჩხს აგროვებენ)...

აწარმოებს ეხი: სტვირები, ფიქები, სონეხი, გინჯები... ეხი პატარა გამოქვაბულია.

აწარმოებს რუხი: მოყვარეთრუხი, მღობიარეთრუხი... (რუხი სინონიმია ეხისა).

აწარმოებს ა: ბელელაყი, ჩახრიალაყი... (ჩახრიალა წყალვარდნილია).

გეოგრაფიულ სახელებად გვაქვს არსებითი სახელები: დარბაზი, ჩირდილი, ბაქანე, გუბი, ვაკე, ჯავახე, კეპანი, ჭყანტები... (ჩირდილი > ჩრდილი გაარსებითებული ზედსართავი სახელია).

ადამიანის სახელები: ადამაყი, ბასო, ქიონი, ერეკლე, ჭიხოლე—ეს ორი უკანასკნელი ხატის სახელიცაა.

კეპანი გვაქვს აჭარის ტოპონიმიაშიც. კეპანი II კაპანი ციცაბო, ძალიან დაქანებული ადგილია. იხმარება მრავლობით რიცხვში: კეპნები; საბასთან: კაპანი ქვალოჯია; ბაქანე კლდეში მცირე ვაკე რამ; ჭყანტი იგივე ჭანჭრობი კორდია სველი, ნოტიო.

გვაქვს მსაზღვრელიანი გეოგრაფიული სახელები სხვადასხვაგვარი: მაგ., მსაზღვრელი მართულია, დგას მხ. რიცხვში, გვიჩვენებს ვის ეკუთვნის საზღვრული: ალექსაის ნაბინავარი, ამირანის კვარები (კვარები ფშაურად გამოქვაბულია), ბრუდის ახოა, კიმოთეს წყაროა, მგელაყის კარი, ალის გორი და სხვ.

რას ეკუთვნის საზღვრული: ჯვარის ყანები, კაპიქის კუჭი (კუჭი—გორაკი), ქაჩუს ლელე (ქაჩუმთაა, ლელე—გადასასვლელი), ჭალაყის თავი, ჯვარის კარი, ვაკის ძირი.

გვაქვს მსაზღვრელი უბრუნვისნიშნოდაც წარმოდგენილი კომპოზიციის სახით: წისქვილტევი, ქოხძირი, ქვიბაკთანაყი...

მართული მსაზღვრელი ნართანიან მრავლობითში დგას: ყვავთ კუჭი, ცოკალთსამარე, ეშმაკთევი... ბილოეთ სათიბეა (ბილოძეების), ჩაკუანთბაკთანაა (ჩაკუანი), რუსთნადგომი და სხვ. მაწარმოებელია სა—ე, გვიჩვენებს დანიშნულებას: საძროხე, საყორნე, საწართხლე (სადაც წართხალი იცის)...

მაწარმოებელია სა—ო: საბორიო...

მაწარმოებელია სა—აყი: საჭვრეტელაყი, სახუნწიაყი (სადაც ბევრი ხუნწი იცის), საჩხატაყი...

გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრული შებრუნებული რიგისა: ველკეთილი...

გვაქვს ორმაგბოლოსართიანი წარმოება დანიშნულების ხასიათისა: საქულდ-ელ-ო, სა-გუბ-ელ-ო...

გვაქვს დანიშნულების მსაზღვრელიანი სახელები: საჯიკვე კილდე, საცხვრე ცერი, სალაშქრო ვაკეა...

გვაქვს ნა-პრეფიქსითა და -აფ, -ურ, -არ, -ალ სუფიქსებით ნაწარმოები სახელები, გვიჩვენებს წინა ვითარებას: ნაკაფავი, ნალობავი, ნაწილური, ნაციხარი, ნაპურალი...

გეოგრაფიულ სახელებად გამოყენებულია სხვადასხვა კომპოზი-

ტები: ძველციხეძირთანაჲ, წყალმოსაბრუნი, გოდორკდეთანაჲ, მეხიანავარდნი. გვაქვს ზედსართავები მსაზღვრელად, გვიჩვენებს, თუ როგორია საზღვრული: დიდბოსელაჲ, გძელყანაჲ, ნარიანტაფეა... ჯანოვერხვი (ჯანო (ს) ვერხვი), დოდკალტოჲ (დო და კალტი), ნაწოდებითარი სახელობითი. სხვადასხვა დაბოლოებანი, მაგ., ე: კამპორე, ვილე, ტიე, ნივრე, არლაჯე, ამბითუე, ილბეჲ; უ: გეჟუ, ვეპკუ, ვებუ, აბლუ II აბლუ; ევ: გირევი, ჭიქევი; ჭი: დანოჭი, ბეკევი, უბაკი; იკი: იზორიკი, მაწარიკი; ო: ტერელო, ნიშთაყო, გნო, ენჭო; აცი: ლამატაჲ, გინჯაურაჲ; ხოგორი, დონა...

გვხვდება გაარსებითებული ზედსართავი, სახელი და ზმნისართიც; მაგ.: ასეთ ანდაზაში: ქუეს მოუკიდნეთ, მირგველაჲ აქის დაგვრჩებაუ (ქუე—ქევეით და მორგველაჲ—მრგვალი—ადგილებია).

გეოგრაფიულ სახელად გვაქვს არაქართულთანდებულისანი სახელები: ფელორი, ბაჯლორი... (ლორ—ში); კარატა (ტა—ზე).

საყურადღებოა, რომ მსგავსი წარმოების სახელები გვაქვს რაჭა-ლეჩხუმშიაც: დიდ კარათა (ორბელთან), პატარა კარათა /ლებთან/ /მ. ჩიქოვანი/; აქვე გვაქვს დედოფლიკარა.

საზოგადოდ თანდებულდართული სახელები ხშირია საქართველოს სინამდვილეში; ჯერ თვით თუშეთში გვაქვს თანა-დართული სახელები: ჯურჯეთანა, საყრეთანა... აჭარის ტოპონიმიკაში კი: ეკლიას უკან, შარაქევე, ბლიძირიზედა და სხე.¹

გვაქვს გეოგრაფიული სახელები ზმნის გაქვავებული ფორმით: ილონე, ხოშანე,... როგორც, მაგ.: არაშენდა, არაზინდო...

საინტერესოა, რომ ხოშანე თუშეთში არის საშიში, შანის მისაგებელი ადგილი, ანუ ხატი, რომელზედაც წარმოებდა დაწყველა, შეჩვენება, გადაცემა; მასთან დაკავშირებით ერთი ყველაზე მწარე წყველა ასეთია: ხოშანესამც მოგინდებ საფქავის დაფქვაჲ, ე. ი. ისე გაგჭირვებოდეს, რომ ხოშანეში მოგწოდეს საფქავის წაღებაო.

ფორმითა და შინაარსით ეს სახელი სვანურ ლიშანედან (შანის მიგება, დაწყველა, შეჩვენება) ნაწარმოებ ხოშანესთან (ის მას სწყევლის, აჩვენებს) არის კავშირში.

გვაქვს არაქართულნაცვალსახელდართული სახელები: ხიმუ (ხი—წყალი, მუ—ესე); ასეთივე უნდა იყოს ტაბაჩე—(ტაბანათი, ტაბანმელა)... ტაბა—ტაბა და ჩე (ჩენი)². ნაწარმოებია ისე, როგორც დედაჩემი, თავოჩემო... სვანეთში ჩე ადგილის სახელია, იქვე გვაქვს უიბეჩე (ზედაჩე) და ჩუბეჩე (ქვედაჩე); ამის მსგავსად კუთვნილებითი

¹ ი. ს. ხ. ა. რ. ლ. ი. ძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, 1958.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ. 536.

ნაცვალსახელი ჩვენი, ნაწარმოები დანიშნულების მაწარმოებლებით სა—ო, დასავლეთ საქართველოში გვაქვს გეოგრაფიულ სახელად: სა-ჩვენ—ო, მასთან: ზედა საჩვენო და ქვედა საჩვენო.

უნდა აღინიშნოს, რომ თუშეთის ტოპონიმიკაში საკმაო ადგილი უჭირავს ქრისტიანული წარმოშობის ჯვარნარეკ სახელებს, როგორცაა ჯვარბოსელი, ჯვარის კარი, ჯვარის ქვიშები, ჯვარის ყანები, ჯვარ-ჩუა, ჯვართანა, ქალჯუარი, ჯვარღმერთი და სხვ.

„ჯვარი, როგორც ხატი ეს იყო ხარკი ძველი კერპთთაყვანისმცემ-ლური განწყობილების სასარგებლოდ, რომელიც უაღრესად ძლიერი იყო ხალხში. ქრისტიანობამ ბევრი რამ მიიღო ძველი და ცდილობდა ძველ გულაში თავისი ახალი ღვინო ჩაესხა, მაგრამ ცხადია, ამ გზით თვით სითხესაც გარკვეულად ეცვლებოდა იერი და ფერი“¹.

როგორც ცნობილია, შემდეგში ჯვარის ადგილი საყდარმა დაიკავა, რომლის კედლებს შორის და მის ახლო შემოღობილ ადგილზე წარ-მოებდა ღმრთისადმი ლოცვა-ვედრება ყოველგვარი საეკლესიო რიტუა-ლების პატივისცემის დაცვით. ასეთ შემოღობილ ადგილს მთაში ეწო-დება: ბეხენე, საფიხენო, საანჯმნო, საჯარონე...

თანა დართული გეოგრაფიული სახელების შესახებ ვკითხულობთ: „თანა თანდებულიანი წარმოებაც არის მთაში გამოყენებული: კალო-თანა (არხოტში), წითელთანა—ადგილია არხოტის ქალაში, ტბათანა—საზაფხულო სადგომია ალვანელი თუშებისა ალაზნის თავში, კართანა—ადგილია ფშავეში“².

ჩვენ დავუმატებდით, თუშეთშიც: კილდეთანა, სამარეთანა, სააყრე-თანა, ჭურჭეთანა... მეტიც, თანა დართული სახელები გვხვდება ლეჩ-ხუჭში: ღორათანა (მიხ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკური ლექსიკონი, შრო-მები, IX. 1939) და სვანეთშიც—ქველეთანა (ხუბერთან).

ურ—ზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელების შესახებ პროფ. ა. შანიძე ამბობს, რომ „წარმომდგარია გვარისაგან, რომელიც ამ პუნქტში სახლობს ან სახლებულა... ამგვარი წარმოების სახელები გე-ნიტივის ფორმითაც არის დადასტურებული“ (ფშავესა და ხევსურეთში): ცაბაურთა, გოგოლაურთა, მიგრიაულთა და სხვა“³.

ჩვენ დავუმატებდით: თუშეთშიც: ქუმელაურთა, ილიურთა, გოგ-რულთა, ივანაქურთა და სხვ.

1 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო აღრინდელი ფეოდალიზმის გზაზე, შრომები 1, გვ. 235—236.

2 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, წ. I, გვ. 135.

3 ა. შ ა ნ ი ძ ე, ვე კ ი ლ ო ს კ ვ ა ლ ი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 8, 1941.

საქართველოს ტერიტორიაზე ურ-ზე დაბოლოებული გვარები გავრცელებული ყოფილა, მაგრამ „საერთოდ ასე ნაწარმოები გვარები აღმოსავლეთ საქართველოშიც უკვე XVIII საუკ. ძე-თი და შვილი-თ დაბოლოებულ წარმოებას უთმობს ასპარეზს და დასავლეთ საქართველოშიც ასე ნაწარმოები გვარები ამავე პროცესის გამო უნდა იყოს გამქრალი“¹.

ნიმუშად გავეცნოთ არაქართული წარმოშობის რამდენიმე გეოგრაფიულ სახელს. ასეთ სახელთაგან ზოგი ქართულსიტყვანარევია, ზოგი გენიტივის თა-თი დაბოლოებულია, ზოგი არაქართულთანდებულდართულია, ზოგიც მთლიანად არაქართულია, მაგ.:

საგინთწყარო გეოგრაფიული სახელია პირიქითში. ეს სახელი ქართულ-ქისტურ-წოვური წედგენილობისაა. ქისტურად, წოვურად საგ ირემია (მრ. საგარჩ). ქართულ გამოთქმაში გვაქვს საგინთ, საიდანაც გამოიყოფა ძირი საგ, -ინ სუფიქსი და თ გენიტივის ნიშანი, საგინთ—ირემთა || ირმებისა; აქედანაა თუწეთში შენახული უძველესი სახელი კაცისა საგითი ნაწარმოები ისე, როგორც დავითი, რაც ქართულში უდრის ირემას და გვარი საგითიძე, რაც ქართულად ირემაძე იქნება. საგითიძე შემდეგ საგინაშვილადაა შეცვლილი.

ცოკალთ სამარე სამარე, სადაც ტოტემიდან (მელა) მომდინარე გვარის მატარებელი ხალხია დასაფლავებული; ნ. ცოკალთა.

ახვაკეჟ პატარა ვაკის სახელია დართლოს გზაზე. ეს სახელი გვხვდება აჭარის ტოპონიმიკაშიც. ეს სახელიც ქართულ-ქისტურ-წოვური შედგენილობის კომპოზიტია; ქისტურსა და წოვურში ახ ნახევარია, მაშასადამე, ახვაკე—ნახევარივაკე; ნაწარმოებია ისე, როგორც იგრივაკე (თურქული იგრი—მრუდე)—მრუდე ვაკე.

სონეხი ადგილის სახელია ჩალმაში: ქისტურ-წოვურად სონ—ჩემი, ეხი—გამოქვაბული. ეხი საბასთან არის გამონახეთქი ქვაბსავით (კლდე არა ქვაბად გამოკუეთილი, არამედ მეორედ გამონახეთქი საჩრდილობელი რამე).

ბუცეხ გორი სათხე || საცხვრე გორი, ნ. ბუცე. სათიზრუანი სათიბიანი-სახელია ქონების იანი-თ ნაწარმოები, ზეთქურუანი—ზედა-ქურუანი (ქურჩიანი), ქვეთქურუანი—ქვედა ქურუანი, (ქურჩიანი) და სხვ.

ბუცე. ამ სახელიდან გამოიყოფა ცე „გულდენშტეტის XVIII საუკუნის ჩანაწერით ღუნძურად, ანწუხურად და ქარულად ცე დედალი თხა, უსლარის ცნობით კი ღუნძურად ეხლა წაე ეწოდება“².

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ. 176.

² იქვე, გვ. 160.

დღევანდელი ვითარების მიხედვით ხუნძურში თხის სახელწოდებად გვაქვს წაე, დიალექტებში კი ცე, ქართულში მისი შესატყვისია წალ, რაც საბასთან თიკნის სახელია. ასეთივე მნიშვნელობით წალი იხმარება თუშურში. იგივე ფუძე მეორდება სიტყვაში და-წალ-იკ-ება, რაც ნიშნავს თხის და—განზოგადების შემდეგ—ცხვრის ერთეულებად დაყოფას; შინაარსით ბადალია დასავლურ კილოეში ნახმარი დაწი-წილაკებისა (და-წილ-წილ-აკ-ება), რაც წვრილ ერთეულებად დაყოფას ნიშნავს.

რაც შეეხება ამ სიტყვის მეორე ნაწილს, ცნობილია, რომ „როცა ამა თუ იმ ცხოველის ზოგად სახელთან ზუ იხმარება, სრული გასაგებია, რადგან ზ თანხმოვანი პირუტყვ სამეფოს გონიერ და პირმეტყველ არსებათაგან ცალკე ჯგუფად გამოყოფელი ნიშანი გამოდის“¹.

ცოკალთა (ქ-წ.). ცოკალ—მელაა; ცოკალთა—მელათა, მელებისა. ცოკალ, როგორც ჩანს, ტოტემია, საიდანაც ვითომცდა ესა თუ ის გვარი იღებს საწყისს.

კოკლათა || კოკლაჟთა სოფელია გომეწარში. ეს სახელი ორი ნაწილისაგან შედგება; ერთია კოკ (ქისტ.)—ცხვრის ტყავისაგან შეკერილი კაბისებური ტანსაცმელი, თუშურად მას ტყავკაბა ან ღურაჟტყავი ეწოდება; მისი მეორე ნაწილია ლაჟთ—აკრავს; კოკლაჟთ ტყავკაბა აკრავს, აცვია. თუშურ გამოთქმაში გვაქვს კოკლაჟთ ჩასმული გენიტეში—კოკლაჟთა, ერთი თანის დაკარგვით—კოკლაჟთა, გამარტივების შემდეგ კი—კოკლათა (ტყავკაბიანთა, ტყავკაბიანებისა).

დიდი ნაწილი ამ გეოგრაფიული სახელებისა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა მიერაა შეტანილი თუშეთში ისევე, როგორც „ამას ნათლად ეხედავთ შაჰ-აბასის მიერ კახეთიდან ირანში გადასახლებულ ქართველთა მაგალითზე (ფერეიდანში მოიპოვება სოფლები: ნინო წმინდა, ჩუყურეთი, მარტყოფი)“².

რა იყო მიზეზი ხალხის მთისკენ ლტოლვისა?

ერთი მრავალმიზეზთაგანი ხალხის მთისკენ მისწრაფებისა იყო ახალი სარწმუნოების—ქრისტიანობის გავრცელებისათვის ბრძოლა საქართველოში.

„მოქცევაი ქართლისაი მოგვითხრობს, რომ როდესაც წმ ნინო და ერისთავი ერთი წარვიდა და დადგა წობენს და მოუწორა მათეულთა და წილკანელთა, ქართლელთა და ფხოველთა და უქადაგა სარწმუნოება ქრისტისი... მათ განუყარეს თავი და ერისთავმან მცირედ წარმართა მახული და შიშით მოსრნეს კერპნი მათნი დალექად და გარდა-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ. 156.

² ა. შანიძე, ივ კილოს კვალი საქ. გეოგრაფიულ სახელებში.

ვიდა ერწოდ და დადგა ჟალეთს დაბასა ედომს და ნათელსცა ერწუთიანელთა, ხოლო ყუარელთა რაი ესმა ესე, შეშინდეს და თოშეთს გადაკრბეს“¹.

ფხოველებად კი იწოდებოდნენ: თუშები, ფშავეები და ხევსურები.

„В летописях грузинских все эти поколения (тушины, пшавы, хевсурь) известны под именем хзовелов“².

მით უმეტეს ძნელი იყო სარწმუნოების შეცვლა მთიელებისათვის თავიანთი კარჩაკეტილობის გამო.

ივ. ჯავახიშვილს მოყვანილი აქვს ლეონტი მროველისა და ჯუანშერის გამონათქვამები მთიელების სარწმუნოების შესახებ. „ლეონტი მროველი ამბობს: მთიულნი უმრავლესნი არა მოიქცნესო; ზოგიერთი ამთგანი აბიბოს ნეკრესელმა მოაქცია შემდეგში, მაგრამ რომელნიმე დარჩეს წარმართებასავე, დღესამდეო, ესე იგი მე-XI საუკუნემდე“³.

ივ. ჯავახიშვილი განაგრძობს: „ისტორიკოსი ჯუანშერიც მოგვითხრობს, ჯერ კიდევ მე V—VI სს. კახეთში ჭევსა მას ლოპოტიასა ქვეყანასა მას კლდეთა მოზღუდვილთა იყვნეს სოფლისა მის კაცნი წყლისა და ცეცხლის მსახურნიო“⁴.

ვახუშტი ბატონიშვილიც ამბობს, რომ ქრისტიანობასთან ერთად „უმეტეს უცნობელნი ჭეშმარიტებისანი არიანო, რამეთუ აქუსთ კლდე დიდი და მაღალი, და დღესა ელია წინასწარმეტყველისასა მოვლენ და შესწირვენ მას კლდესა ცხვარსა და ძროხასა და თაყვანს სცემენ კლდესა მას და რა იგი ესმის კლდისა მისგან სწამთ უმეტეს ყოვლისა იგი“⁵.

ამ წარმართული სარწმუნოების ნაშთები დღესაც ჩანს და დღესასწაულებიცაა მათთან დაკავშირებული, მიუხედავად იმისა, რომ, ვახუშტისავე ცნობით: „აწ მწყისს ალავერდელი მიმტაცე ხარჭაშნისა: არს ეკლესია მცირე აღშენებული ძველითვე და უვისთ ზუცესნ“⁶.

მიზეზი ხალხის მთისკენ ლტოლვისა იყო აგრეთვე ეკონომიური პირობები და სოციალური უთანასწორობანი: „მცხოვრებნი სამის ქართველთა თემისა, ვფიქრობთ, უნდა იყვნენ გადმოსახლებულნი (მომეტებული ნაწილი მაინც) საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. შიში მტრის აოხრებისა, სასჯელისა და გადასახადისა აძებნიებდა ბევრს ქართველს მოსვენებულ ბინას მიუვალ მთისა და ტყის ფერდობზე“⁷.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 214.

² Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. II, 1857. გვ. 281.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 214.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 214.

⁵ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის, ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 105.

⁶ იქვე, გვ. 105.

⁷ ა. ხახანაშვილი, გაზ. „ივერია“, № 173, 1888 წ.

ამ მცირე მიმოხილვიდანაც უნდა ჩანდეს, რომ თუშეთის მრავალფეროვანი გეოგრაფიული სახელების ანალიზის გაცნობას თუშეთისა და მისი მეზობელი ხალხების მიგრაციის შესწავლის საქმეში გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

7. მცხვარეობა და მისი ტერიტორია

მცხვარის ბინა, ანუ ქოხი ეს დროებითი, სახელდახელოდ გაკეთებული ნაგებობაა, ვინაიდან ცხვრის საძოვარი ადგილების მონაცვლეობასთან დაკავშირებით ისიც მონაცვლეა. ცხვრის ნაღვამ ადგილს ნაზინავარი ეწოდება.

ამ ნაგებობის კედლები შეიძლება იყოს ხის, ქვის ან კიდევ ტალახ-შელესილი წნულისა. სახურავად გამოყენებულია ფართო ბრტყელი ქვა, რომელსაც სიში ეწოდება, ხურავენ აგრეთვე ყარტით, ზორტვით (ბელტი მიწისა/. ქოხში გამართულია გასწვრივი ტახტები, რომელთაც მესი-ეში ეწოდება: კედლების ახლოს მიწაში ჩარკმულია ორკაპა მსხვილი ჯოხები, რომლებზედაც გარდიგარდმო გადებულია წვრილი ხეები; ხეებზე დაგეპულია ლასტეში და ნაბლები, მათზე მწყემსები იძინებენ.

მეხების ქვეშ აწყვით: კეხ-ნაბლები, ხაკები, ბარდანები, „მეშოკები“, კასრები... ქოხის შუა ბოძზე კიდია: გულები, პარკები, ქულები; თოფები, ხანჯლები, სხვადასხვა სიგრძისა და სიმსხოს თასები. სიპში გარკობილია ჯოხები, რომლებითაც დამაგრებულია საქალამნები || საქამლეები, ქალამნები || ქამბლები || ქამლები, ქაფქირი და სხვ.

კედლის პირზე ანთია ცეცხლი, რომლის აქეთ-იქით მიწაში ჩარკმულია ორკაპა მომსხო ჯოხები, მათზე გადებულია სწორი კეტი და ზედ ქვაბი კიდია ან შუა კოკიდან ჩამოკიდებულია საკიდელი. საკიდელი სხვადასხვანაირი იციან: 1. ცეცხლის ზევით კედელში შეარკობენ მკლავის სიმსხო დაქდეულ ჯოხს, რომელზედაც ქვაბს კიდებენ. 2. 1—1 1/2 მეტრის სიგრძის მსხვილ ჯოხს დაქანებით ჩაარკობენ მიწაში; ჩარკობის ადგილას დაუდებენ ქვას; ეს ჯოხი ან კამპებიანია, ან დაქდეული; ასეთი სახის საკიდელი უფრო ბატკანშია მიღებული.

3. ცეცხლის ორ მოპირდაპირე მხარეზე მიწაში ჩაარკობენ კამპებიან ჯოხებს, მათზე გადებენ კეტს და კიდებენ ქვაბს. ასეთი საკიდელიც უფრო ბატკანშია მიღებული. 4. სამი მოგრძო ჯოხი თავშეკრულია, იდგმება შეკრული თავიდან. ჩამოშვებულია მათული ან კამპიანი ჯოხი, მასზე კიდებენ ქვაბს. 5. სწორკუთხედი მომსხო მაგარი ჯოხი, რომლის ერთი ნაწილი უგრძესია მეორე ნაწილზე. გრძელი ნაწილით მას მიწაში არკობენ, მოკლე დაქდეულ ნაწილზე კი ქვაბს კიდებენ; ასეთ საკიდელს თუში ეწოდება.

ცალკეა საყვდელე ქოხი. ყველის დასალაგებელ ადგილზე დაფენილია არყის ხის ფოთლებიანი წიწკები, რომლებზედაც ოთხ მწკრი-

ვად აწყვია ყველიანი გულები. ყველიანი გულები, მთავრობისათვის ჩასაბარებელი, თანდათან ჩააქვთ ბარში ჩასაბარებლად, პირადი სარგებლობის ყველი კი წველის დამთავრების შემდეგ ნაწილდება და პატრონს წინ მიაქვს.

ყოველი პატრონის გუდას სათანადო ნიშანი აქვს, სახელდობრ: გუდას შებმული აქვს ხის ფირფიტა, რომელზედაც აღნიშნულია ყველის პატრონის გვარი და სახელი, აგრეთვე წონა.

გუდაში ასხამენ წაქას, რომელიც მზადდება შრატისა და მარილის ნარევისაგან. ასეთი ნარევი ყველს ამაგრებს და კარგადაც ინახავს. როცა წაქას გუდაში ჩაასხამენ, გუდას თავს მაგრად უკრავენ ქანჩით. ქანჩი 10—15 სანტიმეტრის თითის სიმსხო მაგარი ჯოხია, რომელიც თავში საგანგებოდ ოდნავ გახეთქილია, რომ გუდის თავმოსაკრავი ბაწრის ერთი თავი ქარჩის ნახეთქში ჩაატანონ. გუდას თავს მაგრად უკრავენ, რომ წაქა გუდიდან არ გამოვიდეს და მისი უდგილი ჰაერმა არ დაიჭიროს. ყველიან გუდას 3—4 დღეში ერთხელ გადააბრუნებენ, შეატრიალებენ, რომ წაქამ გუდა არ გააფუქოს, მასთან ყველს სითხე კარგად გაუჯდეს.

შემოდგომაზე ცხვარს მირეკავენ წირაქში, შირვანსა და სამუხში. ცხვრის გარეკამდე წინასწარ მიდიან დასახელებულ ადგილებში საძოვრების დასათვალისაგან. უკან დაბრუნებულ მეცხვარეს ჰკითხავენ: როგორი ბალახიაო. თუ ის ჩვეულებრივი სიმალლისაა და ლურჯ-ნარევი, დაბრუნებული უპასუხებს კარგადააო. თუკი ბალახი მაღალი, ატეხილია, მაშინ ეტყვის: ძალიან ლიხობააო. მაღლა ატეხილ ბალახს ლიხი ეწოდება.

ლიხი ბალახი ცხვრის საკვებად მავნებელი არ არის, მაგრამ ძოვების დროს მოძრაობის გამო ცხვარს მატყლს აცლის, რასაც ღვერვა ეწოდება. ლიხი ბალახი ცხვარს ღვერავს.

დოლოზა

დოლოზა, ე. ი. ბატკნის მოგება იწყება თებერვლის შუა რიცხვებიდან და თითქმის ერთი თვე გრძელდება. სადოლე ცხვარი განცალკევებულია. დოლოზისათვის გამოყენებულია ფარეხი, რომელიც გვერდებამოწნული და დაბალი შენობაა. ამოწნულ გვერდებზე მიწაა მიყრილი. ამ დაბალი შენობის სახურავზე აქა-იქ ამოჭრილია სათვალეები სინათლისათვის. სათვალეებს კიდევ სანათურები ეწოდება. ფარეხის სახურავზე წვანან ძაღლები, რომლებიც ნადირისაგან იცავენ ფარეხს. მოხდება ხოლმე, რომ სანათურებიდან მგელი ჩახტება ფარეხში, ბატკანი ფრთხება და ერთმანეთს აწყდება. ფარეხში ჩამხტარი მგელი იმდენ ზიანს ვერ აძლევს ცხვარს, რამდენადაც დამფრთხალი ცხვარი ერთმანეთს.

ფარეხში ჩამხტარი მგელი შეიძლება ისევ ამოხტეს სანათურიდან, თუ არა და მას დაიჭერენ.

ბატკანმოგებულ დედას აძოვებენ ბინის ახლოს საგანგებოდ დაცულ ბალახში. ამ საგანგებოდ დაცულ ბალახთან ადგილს ყოჩული ჰქვია.

მოგებიდან 2—3 დღის განმავლობაში ბატკანს ჭორჭა ჰქვია. მთელი ფარა ბატკანს ერთსა და იმავე დროს არ იგებს. ამიტომ ჭორჭებს დედებთან ამწყვედევენ ცალკე შენობაში, რომელსაც საქორფე ეწოდება. 4—5 დღის ბატკანს ლამით აცილებენ დედას. ამას ასხლეტა ჰქვია. დილით, დედაცხვრის ბალახზე გარეკამდის, ბატკანს მიუშვებენ დედასთან ძუძუს საწოვრად. ამას დარევა ჰქვია. მერე ისევ ასხლეტენ და დედაცხვარს საძოვარზე გარეკავენ. პირველ ხანებში ნაშუადღევს ისევ მორეკავენ დედაცხვარს დასარევად, ისევ გარეკენ და კარგა საღამომდის აძოვებენ. ასე გრძელდება ბინიდან კარში გამოყვანამდის. ბინიდან კარში გამოყვანას ბინის გამოცილება ჰქვია. როცა დათბება და ბატკანს ბინიდან გამოაცილებენ, მაშინ აღარ ასხლეტენ, მაგრამ 2—3 დღეში თუ ერთხელ მოწველეს, მაშინ კვლავ ასხლეტენ. ასხლეტილ ბატკანს ლამით აყენებენ ჭალურებში. ჭალური ფარდულისებური დაბალი შენობაა. ჭალურში ამოთხრილია პატარა-პატარა ორმოები, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებულია პატარა არხებით. ამ ორმოებში გროვდება ბატკნის შარდი, რომ ბატკანი არ დასველდეს და არ შეწუხდეს. ჭალურში ორ კარულში აგებენ წვრილ ხეებს, რომლებზეც ყრიან შემოდგომის მალალღეროიან ბალახს, რომელსაც კაჭახი ჰქვია; უკეთესია, რა თქმა უნდა, ჭარულის დაგება ყარღოთი, რომელიც ჭაობის მალალღეროიანი, მრგვალი, უგულო მცენარეა. შარდი მასზე ტურდება და ადვილად ჩადის ორმოებში. ბატკნის და ცხვრის განავალი, რასაც ჭურთი ეწოდება, სისტემატურად იწმინდება.

ჭარული და ფარეხი ერთმანეთთან შეერთებულია ბაკით, რომ დარევა ადვილი, მოსახერხებელი იყოს. ზოგჯერ ხდება, რომ ბატკანი დასველდება, ამოიწუწება, მაშინ მას სხვა სუნი უდის და როცა დედაცხვარს დაურევენ, დედა მას არ მიიღებს. ამას შეძულეება ეძახიან. ამ შემთხვევაში მეცხვარე დედასთან აბამს ბატკანს და ნელ-ნელა ისევ აყვარებს. ხდება, რომ შეძულებულ შვილს დედა ბოლომდის არ შეიყვარებს და, მაშასადამე, ძუძუსაც არ მოაწოვებინებს; ეს კი ბატკნის დასუსტებას, დაავადებას იწვევს, რის შედეგად შეიძლება ბატკანი კიდეც დაიღუპოს.

ასეთი საფრთხის თავიდან ასაცილებლად მეცხვარე წნავს მოგრძო გოდორს, რომელშიც ათავსებს შვილშეძულებულ დედას. როდესაც ბატკანს მასთან მიუშვებენ ძუძუს საწოვრად, დედას არ აქვს მობრუნების საშუალება, რომ ბატკანი გააგდოს. ასეთი გზით მეცხვარე საბოლოოდ მაინც აყვარებს დედას შვილს. ამ წნულს კორაკანაჟი ჰქვია.

დედის სიყვარული შეილისადმი ზოგჯერ ისეთი ძლიერი ძალით მუღავნდება, რომ განცვიფრებას იწვევს. ასეთ დედას ცხვირ-პირში რომ კეტი ურტყა, ვერ მოაშორებ შეილს. ასეთი დედები ხშირად გადათელავენ მეცხვარეებს, რომელთაც მათი შეკავება სურთ და ბლავილით გაეჭანებიან შეილებისაკენ.

დედა-შვილის დარევაში დიდ როლს თამაშობს მცნობი, ე. ი. პიროვნება, რომელიც დედა ცხვარსა და მის შეილს ცნობს. მცნობი ორნაირია: ერთი, რომელიც შეჩვევით ცნობს დედა-შვილს, მეორე კი იერით არჩევს მათ. დარევის დროს ბატკნები ერთბაშად ვერ ცნობენ თავიანთ დედებს და გაურჩევლად მიაშურებენ დედა ცხვრებს, მაგრამ ზოგი ამ უკანასკნელთაგანი უარს ეუბნება ძუძუს მოწოვებაზე და არის ერთი ორომტრიალი. ამ დროს მცნობი დგას მომადლო ადგილზე, ამას კარგად ხედავს და იძლევა განკარგულებას, თუ რომელი ბატკანი რომელ დედას მიუყვანონ.

გაზაფხულზე, დაახლოებით მაისის პირველი რიცხვიდან, ცხვარი ამოდის მთაში. ამოსვლის შემდეგ ამინდის მიხედვით წარმოებს ბატკნის დარჩევა. ბატკნის გადარჩევის შემდეგ მას მირეკავენ საცხვრე მთის წვერზე, სადაც ის ბოლომდის რჩება. ამას თან მისდევს ერთი ან ორი მებატკნე და ძალი. ძალი დლით მებატკნის ჯივს, ანუ საკვებს ყარაულობს, რამით კი—ბატკანს. მებატკნეებიდან (თუ ორნი არიან) კვირაში ერთხელ ერთ-ერთი გადადის ბანაში, სოფელში და გადმოაქვს ჯირა და მარილი. ბატკანი ხშირად ხაშლდება (ლუზდება) და ამ დროს ძალიან ეტანება მარილს. ბატკნებში ურევია 2—3 ვაცი და თიკნები. მებატკნეს თან აქვს თოფი, ხანჯალი, დანა, რადგან ბატკანს ძლიერ ეტანება დათვი, მგელი.

დარჩეულ ცხვარს უწყებენ წველას. წველის დაწყებამდის აწარმოებენ ქალების ჩადგმას: მამაკაცები ასახლებენ ქვრივებს, ბიჭები კი—ქალებს, პირველ რიგში კარგებს, მიყოლებით ცუდებსაც, გონჯებსაც. ამისდა მიხედვით წარმოებს წველა. ყველა ცდილობს პირველი იყოს, ვინაიდან წველის პირველად დამამთავრებელს ყველაზე ლამაზი ქალი ერგება, მომდევნოებს—მომდევნო სილამაზისა, ხოლო ბოლოში დარჩენილებს კი—ულამაზო, გონჯი.

რძეს ასხამენ კოდში, რომელშიც ჩადგმულია ჩხლაკვის გოდორი. გოდორში ჩაფენილია ჭინჭრის დედა, მჩადაცის ფოთლები, რომ რძე ქურთისაგან გაიწუროს, გაიწმინდოს.

წველის დამთავრების შემდეგ მწველაები იბანენ ხელ-პირს, ხოლო ხარკალი, ანუ მთავარი მწყემსი რძეში უშვებს შაბოშს || შაბუშს | /დვრიტა, კვეთი, დედა/ დაახლოებით თითო კასრზე 50 გრ. შაბოშ-ნაქნარ რძეს დააყოვნებს ნახევარ საათამდის, შემდეგ კი დაურევს, სწორედ ამ მომენტში შაბოშნაქნარ რძეს დელამო ეწოდება. დარევის

შემდეგ ისევ დახურავს კოდს 10—15 წუთით. ამის შემდეგ იღებენ ყველს. ამოღებული ყველი იწურება ტილოს პარკებში და შიგვე კეთდება ყველის ფორმაზე. ზოგჯერ ყველს სავანგებოდ დაახამებენ, დააყოვნებენ, „დააღპობენ“ და შემდეგ აზელენ., ასეთ ყველს ჩოგი ეწოდება. ყველის ნარჩენს შრატი ჰქვია. შრატისაგან მზადდება კალტი შემდეგნაირად: შრატს ქვაბებით ცეცხლზე შეჰკიდებენ, კარგად გააცხელებენ, რის შემდეგ შრატის პირზე წარმოიშვება კალტი, რომელსაც მოხდიან, ტილოს პარკებში წურავენ და ამარილებენ.

მეცხვარეების საკვებია უმთავრესად ყვავი, ანუ ქუმელი, ე. ი. დახალული პურეული, რომელიც გუდაში აქვთ, და საჭირო რაოდენობით გუდიდან იღებენ და გაზელენ წყალში. სატნად ხმარობენ ყველს, კალტს, ხორცს. სატნის ერთი სახეა მუავე, რომელიც მზადდება რძისა და შრატის ერთმანეთში არევით. ასეთი ნარევი მუავე გემრიელია და მეცხვარეებისათვის საყვარელი დასახვრეტია, ე. ი. სასმელია.

მეცხვარეები ქუმელს მხოლოდ კალტით ზევენ; ამ ნაზელს ნაველი ეწოდება.

მეცხვარეები ძაღლებს ყურადღებით ეპყრობიან და კარგად კვებავენ. ძაღლებს ბინაში თბილი შრატით კვებავენ. ბატკანნი—კი ქუმელით (ქუმლით). ბინაში 5—6 ძაღლი ჰყავთ, ისინი იცავენ ცხვარსა და ბინას. ძაღლების სახელებია: ციბრანა, ჩიბია, აღმასა, სათარა, საქულა და სხვ.

თავისუფალ დროს მეცხვარეები ნადირობენ ჯიხვზე, ფსიტზე, ვაცზე, შურთაზე, კაკაბზე და სხვა გარეულ ცხოველებსა თუ ფრინველებზე.

მეცხვარე დილით საძოვარზე გარეკამდის დამატლავს მატლჩაყრილ ცხვარს სამატლიაფით, ჭრილობაში ჩააყრის გულაფშუტას (საცუარას) ან ნახშირს, ან ნაფტალინს (თუ ასეთი მოეპოვება), ან ღიწს, რომ ჭრილობა ამოაშროს, პირი შეუკრას. მერე იცვამს თექას (მოკლე ნაბადი), აზურავს ცხვრის ტყავისაგან შეკერილ ქუდს, რომელსაც ბარჯღალაფი ჰქვია, ისხამს იარაღს და დაურიაღებს ცხვარს: ვრრრრეეე, ვრრრრეეე, ჰო, ჰო, ჰო, ჰო... და საძოვარზე მირეკავს.

ცხვრის პარსვა

ცხვრის პარსვა იწყება 20—25 ივლისიდან და გრძელდება თვის ბოლომდის. პარსვა ასე ხდება: პირველად ბატკანს უპარსავენ მუცელს, ამისათვის მიწაში ჩაარპობენ ერთ მტკაველ თითის სიმსხო მანას, რომელზედაც მიბმულია ბაწარი. ბაწრის ბოლო მიბმულია მოკლე ჩხირის შუაზე. ბატკანს უკანა ფეხებით მიაბამენ ბაწრიან მანაზე ახლოს, მერე მანის ბაწარს ფეხებზე დაახვევენ და ბაწრის ბოლოს ჩხირთან ნაწილს ფეხებს შუა ამოსდებენ ისე, რომ ჩხირი ფეხებს ზევით გაიჩნ-

როს და ბატკანი რომ გაიწევეს, თავი ვერ გაითავისუფლოს. ასე პირადმა დაწოლილ ბატკანს უპარსავენ მუცელს. მუცლის გაპარსვის შემდეგ ფეხებს გაუთავისუფლებენ და შეუკრავენ უკვე სხვაგვარად, მაგ., მარჯვენა უკანა ფეხს და წინა მარცხენა ფეხს ერთმანეთზე მიადებენ, მარცხენა უკანა ფეხს და მარჯვენა წინა ფეხს—ერთმანეთზე და ერთად შეკრავენ; ასეთ ვითარებაშია ბატკანი გაპარსვამდის.

ერთი ბატკნის ნაპარსს ეწოდება კრაველი (ყველაზე კარგია), ერთი ცხვრის ნაპარსს კი—ნაპარსი. გაპარსულ კრაველს გრძლად (1 მეტრის სიგრძით) დაახვევენ და გამოსკვნიან, როგორც ცხენის ძუას. ასეთ ნაპარსებს აწყობენ ტომრებში, რომლებსაც ბარდანა-ბარდანაგები ეწოდება. გაზაფხულის ნაპარსს რისვი ჰქვია. რისვი დაბალი ხარისხისაა. რისვებში ყველაზე კარგია თოხლის მატყლი; საზოგადოდ კარგია შემოდგომის მატყლი, რომელსაც შემოდგომის ნაპარსი ჰქვია.

ავადმყოფობა

დახაშლება ფილტვებით დასუსტება, დაავადება. მეცხვარე, რა სქმა უნდა, დაინტერესებულია ბატკნის სიცოცხლით, ამიტომაც მას მკურნალობს შემდეგნაირად:

დახაშლებულ ბატკანს ცალკე გამოყოფს და დილაობით მას ჩაჰბერავს ჰაერს (ბატკნის პირს ჩაიდებს თავის პირში). ჰაერს ჩაჰბერავს იმ რაოდენობით, რომ ბატკანს ფერდები ამოეხსოს. ამას იმეორებს განკურნებამდის.

დალუბება. ნ. დახაშლება

რეტი. სხვადასხვა მიზეზით ცხვარს ტვინი შეერყევა, მისი მორჩენა შეუძლებელია და მეცხვარეც მას კლავს. იტყვიან: რეტიანის შემნახავით თავადაც რეტიან იქნება. მკურნალობენ ასე: უხვრეტენ ყურებს, შეიძლება დააქრან კიდევ. არის შემთხვევა, რომ განიკურნება.

თვალის სატყვივარაჯი ხშირად ბატკანს ემართება. ზოგჯერ თავისით გაუვლის, ზოგჯერ კი ორივე თვალს სრულიად გაუფუჭებს. მკურნალობენ ასე: მარილს ან შაქრის ფხვნილს მეცხვარე ჩაიყრის პირში, ავადმყოფ ცხვარს თვალს გაუხელს და პირში ჩაყრილ ფხვნილს შეაფრქვევს თვალში. ასეთი მკურნალობა გარკვეულ ეფექტს იძლევა.

საბეწვე. ცხვარს, თხას ჩლიქებს შორის უჩნდება ხორცმეტი, ის აიბურცება და ცხვარს აკოჭლებს. ასეთ ამობურცულ ხორცმეტს ეწოდება საბეწვე. მას მკურნალობენ შემდეგნაირად: საბეწვეს ამოჭრიან დანით და დარჩენილ ამოღრუტნულში ჩააყრიან საცუარას, ნახშირს ან დიშს და კურნავენ.

